

ბიძინა გეგეუძე

**ერთად აკინძული
დაფანტული ფურცლები**

**ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები,
ბეჭდვები, ფოტოქრონიკა**



თბილისი 2010

ედღვენება ეთერ რუხაძეს

მომზადდა კომპანია „მერმის მ.გ.“-მ
ISBN 978-9941-0-2362-0
2010 წელი



շղեր լսեցողունից զտղեր,
ժղեն պղղլսեղղնե ղեկըրուոնն.
Բըսը լսեթոնպղղղ ղեկու.
Բըսը ժոնկըրղղղ ժեկըրու.
Աղթո ժղոնղղղեկ զտղեր!

եկ լսեթղթղղղղղղ, զտղեր,
ժղն Աղթո ժեղղ լսե ժողղեկղղղ!
Բըսըրոն ժեկըրղղղղ ղղղղղ
ղղ ժեկըրղղղղն ժեկըրղ.
Աղթո ժղոնղղղեկ զտղեր!

Ն. Յ.



წინამდებარე ბიბლიოგრაფია მოიცავს გეგეშიძეების ოჯახის ისტორიას.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკამ“ 2005 წლის 15 მაისს გამოისცა ნარკვევი — „მართლაც უჩვეულო წიგნი“. მწერალი ელგუჯა ლებანიძე აღნიშნავს: ეს არ არის უბრალო წიგნი, ან ერთი ოჯახის ისტორია, მისი მნიშვნელობა სცილდება ამ ჩარჩოებს, ვინაიდან მოიცავს სრულიად სხვადასხვა ჟანრის და შინაარსის ზღვა მასალას ცხოვრებაზე, ადამიანურ ურთიერთობებზე, ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, კინოსა და თეატრზე, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ვითარებაზე. ვის აღარ შეხვდებოდა ამ წიგნში, შორეულ წინაპრებიდან დაწყებული აგერ, გუშინ თუ გუშინწინდელ ამაგდარ მამულიშვილებს — აკაკი ხორავას, მიხეილ თუმანიშვილს, სპარტაკ ბაღაშვილს, გრიგოლ ბერძენიშვილს... ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება. მე მხოლოდ იმის თქმა მსურს, რომ ბატონი ბიძინა იმ ხალხში ტრიალებდა, ვინც ჩვენი ქვეყნის სინდის-ნამუსს განასახიერებდა, ვის მაგალითებზეც თაობები იზრდებოდა. ამიტომ ვამბობ, ეს წიგნი ოჯახურ ჩარჩოებში ვერ ეტევა-მეთქი. ეს მთელი ქვეყნის ისტორიაა თავისი წარმატებებით, სიხარულითა და ტკივილებით“.

ბატონ ელგუჯას პირუთენელი მოსაზრებები და გამონათქვამები მათემატიკური სიზუსტით ესადაგება ჩემი სიყრმის მეგობრის სხვა წიგნებსაც, როგორებიცაა: „დარტყმა“, „დრო“, „რაილა დარჩა წარსულის, დიდის?“, „უსაზღვრო სევდა“ და 18 კრებული. აგრეთვე ბიბლიოგრაფიაში აღნუსხული წერილები, ნარკვევები, რეცენზიები და სხვა.

ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ: სიჭაბუკიდან ჭარმაგობამდე ჟურნალისტობაზე უზომოდ შეყვარებულ ბიძინა გეგეშიძეს, მიუხედავად, სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობისა, კალამი ხელიდან არ გაუშვია. და 80 გადაცილებული, დღესაც აგრძელებს წერილების გამოქვეყნებას. მათ შორის მარგალიტივით ბრწყინავს 2006 წლის პირველ დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველ გვერდზე დიდი ილია ჭავჭავაძის ბრძნული გამონათქვამით დასათაურებული სტატია: „რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა, ღმერთმა იმ რუსსვე ასკაცად მისცეს“.

დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი

ოთარ ზარდალიშვილი

2008 წელი.

აი, ასეთი მყავს მეგობარი
ბიძინა გეგეშიძეს

გასაოცარი მყავს მეგობარი,
სახელიც კარგი ჰქვია — ბიძინა,
„ნამომეპარა უკვე სიბერე“, —
ვუთხარი ეს და ბევრი იცინა.
„ჯერ ბავშვი ხარო“, — დამაიმედა,
„შენთან სიბერეს ჯერ რა ხელი აქვს,
მე ოთხმოცს უკვე მივუკაკუნე
და ჩემი ტვირთი ისევ მე მიმაქვს!
ცხოვრებამ მთეთქა შეუბრალებლად,
ხმალი არასდროს არ ჩამიგია,
ბევრი დავკარგე, ვინც მე მიყვარდა,
ბრძოლა კი ჯერაც არ წამიგია!
უძვირფასესს თანამგზავრს ჩემსას
ტკივილიანი გაჰყვა ოცნება,
ჩაკირულია გულში მარადი
სიცოცხლის რწმენა და საოცრება!
მეც მოვინიშნე ჩემი არჩივი,
ღვთით ბოძებული წმინდა ალაგი,
როს აღსრულდება ნება განგების
მექნება ჩემი ძვალთშესალაგი!
ჯერ... აქაური მხიბლავს მზეები,
ჯერ კიდევ დამრჩა გზა და სავალი,
რადგან, სანამ ვარ, ცოცხლობს ეთერიც —
ჩემი ცხოვრების იასამანი“.

ასე ალაღად მიგულახდილა,
არ გამემხილა, ვერ დავიცადე,
როცა ასეთი გყავს მეგობარი
კი ღირს ცხოვრება დედამინაზე!

ელგუჯა ლებანიძე
მაისი, 2008



ეთერი შვილებთან და შვილიშვილებთან ერთად
2003 წლის საახალწლო სუფრასთან.
ბიძინა გვეგუშიძის ფოტო



ბიძინა შვილებთან და შვილიშვილებთან

ԵՐԵՎԱՆԻ ԳՐԱԳՐԱԿԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ



Մարտիրոս Բաղդասարյանը և Մարիամը
1905 թ.



Կարեն Բաղդասարյանը և Գրիգորի
1904 թ.



Նուրի Բաղդասարյանը և Կարենը
1904 թ.



Մարիամը և Կարեն Բաղդասարյանը
1927 թ.



Գրիգոր Բաղդասարյանը, Մարիամը
և Մարտիրոսը 1927 թ.



Կարեն Բաղդասարյանը
1927 թ.



Մարիամը և Կարեն Բաղդասարյանը
1927 թ.



Մարիամը և Կարեն Բաղդասարյանը
1927 թ.



Կարեն Բաղդասարյանը և Մարիամը
1927 թ.

საქართველოს რესპუბლიკა

№ 149 ს. 10000000000 29 იანვარი, 2002 წელი.



ვლადიმერ ლაშინაშვილი

**ივანე მთაწილელი, შინა
გარეკანის მმართველის
ოჯახის მფლობელი
გარდაცემული
ბიძკისა.**

ნარკვევიდან „ლაშინაშვილი და ლაშინაშვილი ხსენებული“.
(გამ. საქართველოს რესპუბლიკა, 20 დეკემბერი, 2000 წელს)
დაბეჭდა ივრეთივე წიგნში: „ბედი მღვდლის“.

დავინახოთ და დავაფასოთ სასწაული...

სიცოცხლე თვალსა და ხელს შუა უქრებოდა. რატომღაც ეგონა, პარტიბილეთს რომ ჩააბარებდა საძულველ რეჟიმთან ყოველგვარ კავშირს განწყვეტდა, სულიერ სიმშვიდეს მოიპოვებდა. არაფერი გამოუვიდა — რაც მეტი დრო გადიოდა, სულ უფრო მწვავედ განიცდიდა მომხდარს. სულ უფრო აუტანელი ხდებოდა პასუხგაუცემელი კითხვა: რატომ? რატომ მოხდა, რომ ასე ლამაზი და ნათელი იმედები უეცრად გაცამტვერდა თითქმის მაშინვე, როგორც კი ბოლშევიკებმა ძალაუფლება ხელში აიღეს. ნუთუ ასეთი სასტიკი მეთოდებით, ცეცხლითა და ცრემლით უნდა დამკვიდრდეს შეპირებული ბედნიერება, ნუთუ მართლა მიზანს უნდა ემორჩილებოდეს ყველა საშუალება? როგორ ელამაზებოდა ცხოვრება, როცა ჭაბუკ გალაკტიონთან ერთად სახალხო შურისმძიებელ სამსონ წითელაშვილის მგზნებარე სიტყვებს ისმენდა! მაშინ მართლა სჯეროდა, რომ მეფის ტახტის დამხობის შემდეგ ქვეყანაში საყოველთაო სიკეთე დაი-სადგურებდა.

სინამდვილეში რა მოხდა? პარტიამ რომელსაც აღმერთებდა, მასობრივი ძალადობის, ტერორის, უკანონობისა და ბოროტების გზა აირჩია. ვალერიანის უბის ნიგნაკში ჩნდება საგულისხმო ჩანაწერები: „შევცდი, ცუდი გზა ავირჩიე ბრძოლის... ჯობდა, ხარს და გუთანს მოვკიდებოდი“. მაგრამ მარტოოდენ ამ აღიარებით როდი იფარგლება — კიდევ უფრო მწვავე და უკომპრომისოა მისი განაჩენი: „ჩვენ არ შეგვიძლია, გავყვეთ ამ გზას, ვინაიდან განადგურდება ქვეყანა, დამკვიდრდება უპასუხისმგებლო რეჟიმი, გამეფდება ქვეყნის ყველა

კუთხე-კუნჭულში სიცრუე. ორპირობა, სიყალბე, დასმენა, ხოცვა-ჟლეტა, დაიდვრება ათასობით უდანაშაულო ადამიანის სისხლი“.

დღეს, როცა ყველაფერი უკან დარჩა და „ბოროტების იმპერია“ ისტორიას ჩაბარდა, გვაოცებს ვალერიან გეგეშიძის წინასწარ განჭვრეტა. დასმენებმა, ხოცვა-ჟლეტამ, ორპირობამ და სიყალბემ (დღესაც ესტაფეტასავით რომ გრძელდება!) მართლაც გიგანტური მასშტაბები მიიღო. სწორედ ამ უკეთურობას შეეწირა რეჟიმი, რომელმაც სამოცდაათი წელი გასძლო. უკვე ეს დასკვნები გვაძლევს სრულ წარმოდგენას ვალერიან გეგეშიძის — მართლაც მგზნებარე მამულიშვილის აზროვნების ჰორიზონტზე. უტყუარ ალლოსა და ლოგიკის სიმტკიცეზე.

მელაურელი ფარნაოზ და თეო გეგეშიძეები მათე-რიალურად ღარიბები, მაგრამ შვილებით მდიდრები იყვნენ. მშობლებმა ყველაფერი იღონეს, რათა რვა შვილისათვის შესაფერისი განათლება მიეცათ. ზოგი ექიმი გამოვიდა, ზოგი ინჟინერი. ისინი თავ-თავიანთი პროფესიით მუშაობდნენ და ხალხის სიყვარულიც მოიმკეს. ვალერიანმა თავისი ბედი ბოლშევიკებს დაუკავშირა. რათა ცოდნაც და მრწამსიც ახალი ცხოვრების შენებისათვის ენაცვალებინა. არჩევანის სისწორეში ეჭვის პირველი ჭია მაშინ შეუჩნდა, როცა ერის მამაზე — ილიაზე ვაიპატრიოტებმა იერიში მიიტანეს. „დიდმა ილიამ პირველმა „მგზავრის წერილებში“ ჩამოაყალიბა ქართული ეროვნული იდეის საფუძველი, რომელზეც უნდა აშენებულიყო დაშლილი ერის ერთიანი სახლი, სახლის აშენების მტკიცე მასალად კი მწერალს მიაჩნდა ყველა

ქართველის გაერთიანება და ერთად დგომა“, —
წერდა ვალერიანი.

მაგრამ ან „ყველა ქართველის გაერთიანება“ სად იყო, ან „ერთად დგომა“, როცა საქართველოში მეთერთმეტე არმია ცეცხლითა და მახვილით შემოვიდა და ქვეყნის დამოუკიდებლობა სისხლით დაასამარა, ხელახალი სიმწვავით იშვა მწუხარებითა და მრისხანებით აღსავსე სტრიქონები: „ისევ დაქსაქსულობა, ისევ ღალატი და აშლილობა, ისევ ქართველის მიერ ქართველის ხოცვა-ჟლეტა, ისევ დასმენა და ტერორი. ყოველივე ამან კი საქართველოს ბორბალი უკუღმა დაატრიალა. საბჭოთა რუსეთმა ისევ საქართველოს ხელშეწყობით და გაუგონარი ღალატით საქართველოს მთლიანი ოკუპაცია მოახდინა“.

და... მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც იდგა ახალი წყობილების სამსახურში. არც არის გასაკვირველი — სასულიერო და საერო სიბრძნეს ზიარებულ, ნიჭითა და გონებით გამორჩეულ ახალგაზრდას უსაქმოდ ვინ გააჩერებდა. „ან ჩვენთან. ან — არავისთან!“ — ასეთი იყო მაშინ ბოლშევიკების დევიზი. ვალერიანი ხომ თავის დროზე მგზნებარედ ეხმიანებოდა რევოლუციას. იგი ხალხის ბედნიერების ერთადერთ სწორ გზად ესახებოდა. დასკვნები, ზემოთ რომ მოვიხმე, ცოტა მოგვიანებით გაკეთდა ეგეც არ იყოს, ვინ იცის. იქნებ ისიც ეიმედებოდა, ჩემი სულისკვეთების ადამიანები რაიმეს შევცვლით და ახალი ქვეყნის შენებას სასურველ კალაპოტში მოვაქცევთო?

გულუბრყვილობა იყო? შესაძლოა, მაგრამ ვალერიან გეგეშიძე მაინც თავგამოდებით ცდილობდა სინდისით და სუფთა ხელებით ეკეთებინა საქმე. აკი სწორედ

ამ იდეით მოძღვრავდა სასულიერო სემინარიის მოსწავლეს ერის სასიქადულო შვილი, მწერალი ვასილ ბარნოვი. ამ იდეებმა შემდგომ გაგრძელება ჰპოვეს ახალდაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში, სადაც ვალერიანი სიბრძნისმეტყველებას ეუფლებოდა. ცდილობდა, მაგრამ მის ძალისხმევას ყოველთვის როდი მოჰქონდა სასურველი შედეგი.

თანამდებობები კი, იცოცხლეთ, ჰქონდა — იყო ხაშურის რაიკომის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის განყოფილებათა გამგე. თითქოსდა განუსაზღვრელი, სინამდვილეში კი გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული ძალაუფლება. მაინც არ ეპუებოდა მწარე სინამდვილეს, მაინც თავის გულის კარნახით „ჭრიდა და კერავდა“. ამის დასტურად თუნდაც ერთი ფაქტი კმარა: სასწორზე შეაგდო რა თავისი მომავალი, ხაშურის ციხიდან გაათავისუფლა გამოჩენილი ქართველი მხატვარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სამხატვრო აკადემიის პროფესორი ალექსანდრე ციმაკურიძე. „ვმუშაობდი ჩემს მშობლიურ ხაშურში. ძველი თბილისის პეიზაჟებთან ერთად ვხატავდი დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, დიმიტრი თავდადებულის, ილია, აკაკისა და ვაჟას პორტრეტებს. მალე მოულოდნელად დამაპატიმრეს, მიმიყვანეს ხაშურის პოლიციაში, ბრალდებად წამომიყენეს მეფეების, ეკლესია-ტაძრებისა და მწერლების სურათების ხატვა და შემდეგ მომათავსეს ნესტიან კამერაში... მეორე დღეს გაიღო საკნის კარი და ჩემს წინ აღიმართა ძალზე სიმპათიური, მომხიბლავი აღნაგობის ვაჟკაცი. მან ბოდიში მომიხა-

და, გამათავისუფლა პატიმრობიდან და ეტლით სახლამდე მიმაცილა“, — იგონებდა მხატვარი.

ვალერიანი მარტო მხატვრის გათავისუფლებას როდი დასჯერდა: დამნაშავეები სამსახურიდან დაითხოვა. მილიციის უფროსი კი პასუხისგებაში მისცა!

ეს იმხანად მართლაც გმირობის ტოლფასი იყო!

მაგრამ, როგორც ვთქვით, არც ვალერიანის შესაძლებლობები იყო განუსაზღვრელი. მკაცრი რეალობა შეუბრალებლად აცამტვერებდა მის იდეალებს და როცა იგრძნო, მის ძალისხმევას შედეგები არ მოჰქონდა. პარტბილეთი დადო...

ამით, ცხადია, საკუთარ თავსაც განაჩენი გამოუტანა. ეს იყო პროტესტი იმ განუკითხაობისათვის, რაც ქვეყანაში სუფევდა და რომლის ავტორები ბოლშევიკები იყვნენ.

ვალერიან გეგეშიძის კარიერა დასრულდა. ყოველ შემთხვევაში, მანამდე მაინც, სანამ წითელი ურჩხული ფეხზე მყარად იდგა...

ვერა, ვერ მოთოკა გრძნობები, ვერ დაიოკა მრისხანება. ამ ყოველდღიურ განამანას შეეწირა ვალერიანისა და მისი ოჯახის ჯანმრთელობა. თავს დაჰკანკალებდა მეუღლე, ორი მცირეწლოვანი შვილის დედა ოლია. ამხნევებდა, სულ ასე ხომ არ იქნება, თვალში გამოიხედავენ ბოლშევიკები და თავიანთი პოლიტიკის სიმცდარეში დარწმუნდებიანო. დრო მიდიოდა, შეცვლით კი არაფერი იცვლებოდა. ჯანმრთელობაშერყეული ვალერიანი ზღვისპირეთში — გულრიფში წაიყვანეს, ვერც ამან უშველა. 1931 წლის 20 იანვარს გაზეთმა „კომუნისტმა“ გამოაქვეყნა ვალერიანის თანამებრძოლის ალექსანდრე პაპავას წერილი. „დღეს მინას მიაბარებენ

ვალერიან გეგეშიძეს. მძიმეა ქვეყნისათვის, ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის დაკარგვა მეგობრებისათვის, მათთვის, ვინც მას თან ერთად მუშაობდა და იბრძოდა“, — წერდა გულმეძრნული ავტორი.

მაშინ ვალერიან გეგეშიძე ოცდაცამეტი წლის იყო...

არ გაივლის დიდი დრო და იმ წერილის ავტორსაც მოჰკითხავენ. სამსახურიდანაც დაითხოვენ და გააციმბირებენ კიდეც. საბედნიეროდ, ალექსანდრე პაპავამ ყველა განსაცდელს გაუძლო და სამშობლოში დაბრუნდა. მოიკითხა კიდეც მეგობრის ოჯახი, მაგრამ... ამ დროს აღარც ოლია იყო ცოცხალი და აღარც მისი გოგონა ცუცა. ვალერიანის გარდაცვალების შემდეგ მალე ისინიც მიიბარა მიწამ. დღეს მელაურის მამა-პაპათა განსასვენებელში ერთად წვანან ვალერიან, ოლია და ცუცა გეგეშიძეები...

ცხადია, ვინც ოცდაათიანი წლების ჯოჯოხეთურ მოვლენებში ჩახედულია, გაუკვირდება: როგორ მიუტევეს ვალერიანს განდგომა და პარტიზილეთის ჩაბარება? მან ხომ ამის მერე მთელი ოთხი წელი იცოცხლა! სხვათა შორის, არც მერე გახსენებია ვინმეს ვალერიანის „ღალატი“. საქმე ის გახლავთ, რომ იმხანად ვალერიანის ბევრი თანამოაზრე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ჯერ კიდევ არ დაწყებულიყო „სისხლიანი კალო“, უამრავი ღირსეული ადამიანის სიცოცხლე რომ შეინირა. ვალერიანი განგებამ დაინდო: ის თავისი ნებით ჩამოაშორა იმ მატარებელს, რომელიც, რაღაც ექვსი წლის მერე უეჭველად ეშაფოტთან მიიყვანდა...

ერთადერთი, ვინც ვალერიან გეგეშიძის ოჯახიდან გადარჩა, ვაჟიშვილი ბიძინაა. ის თეო ბებოსთან იზრდე-

ბიძინა გეგეშიძე. ბიბლიოგრაფიული ჩანაწერები, ტექსტები, ფოტოქრონიკა.

ბოდა. ეს ის თეო ბებოა, ვინც მართლა გულწრფელად უთანაგრძნობდა რევოლუციონერებს და შვილს, ვალერიანს საიდუმლო კრებებზეც დაყვებოდა. ბიძინა გეგეშიძემ — ღირსეული მამის ღირსეულმა შვილმა, მშობლებზე უამრავი დოკუმენტური მასალა შეაგროვა. ქართულ პერიოდულ პრესაში იგი დღესაც ხშირად აქვეყნებს საინტერესო წერილებს, რომლებიც იმ ავბედითი დროის ცოცხალ სურათებს გვიხატავენ. სწორედ ბიძინამ გაგვაცნო ვალერიან გეგეშიძის ნამდვილი სახე — თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოსათვის მებრძოლი რაინდის სახე.

თუმცა საქართველოში იყვნენ სხვა ღირსეული ადამიანებიც, ვინც ვალერიან გეგეშიძის ნამდვილი ფასი იცოდა. 1985 წლის 6 ნოემბერს საქართველოს მთავრობის დადგენილებით სამტრედიაში, ვალერიან გეგეშიძის სახელობის ქუჩაზე, საზეიმოდ გაიხსნა მემორიალური დაფა, რომლის ავტორიც დიდი პაპის მოსახელე, თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული ვალერიან გეგეშიძეა.

დღეს, რატომღაც, იშვიათად, ან სულ აღარ ახსენებენ „ძველი დროის“ ჯარისკაცებს. არ ვიცი, ვინ როგორ ამართლებს ამას, მაგრამ ერთი რამ ცხადია: ფუტურო კუნძი ჯანსაღ ამონაყარს ვერასოდეს მოგვცემს. თუ ჩვენში კვლავაც ძალუმად ღვივის თავისუფლებისადმი ლტოლვის სურვილი. სწორედ ვალერიან გეგეშიძისთანების ღვაწლია. სამაგალითოდ, დასაფასებელი და გასახსენებელი „ძველი“ ცხოვრებიდანაც ბევრი ვინმე შემოგვრჩა. მთავარია, ყველას თავისი ადგილი მივუჩინოთ.

2000 წლის 29 ივნისს გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ გამოაქვეყნა სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურის მცხოვრებთა კოლექტიური წერილი „უარსნუ ვიტყვით წარსულზე“. იქ ნათქვამი იყო, რომ სამტრედიის ქალაქის გამგეობა ვალერიან გეგეშიძის სახელობის ქუჩისათვის სახელის გადარქმევას აპირებს! რატომ? საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგეთაგან ბევრმა უცხოეთში ჰპოვა თავშესაფარი და ამით თავი გადაირჩინა ფიზიკური განადგურებისაგან. ვალერიან გეგეშიძე არსადაც არ წასულა. საქართველოდან ფეხიც არ მოუცვლია. თუმცა ძალიან კარგად იცოდა, ეს შეიძლება სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. ჩემთვის, მაგალითად, ამ ერთი კაცის ზნეობრივი გმირობა უფრო ფასეულია, ვიდრე უცხოეთში გაქცეული ათობით ადამიანისა! ვალერიან გეგეშიძის სახით განგებამ სამტრედიას, სამტრედიელებსა და სრულიად საქართველოს შესანიშნავი ადამიანი აჩუქა. ამ სასწაულს დანახვა და დაფასება სჭირდება!

ელგუჯა ლებანიძე,

20 დეკემბერი. 2000 წ.

გაზეთი — „საქართველოს რესპუბლიკა.“
(დაიბეჭდა აგრეთვე კრებულში — „ბედი მღევარი“)

ვალერიან გეგეშიძის წერილებსა და დღიურებში ვხვდებით პოლიტიკური ხასიათის ჩანაწერებს: „ჩვენ გვერგო მასობრივი ძალადობის, ტერორის, უკანონობისა და ბოროტების სახელმწიფო. ეს გზა აირჩია პარტიამ, ჩვენ არ შეგვიძლია გავყვეთ ამ გზას, ვინაიდან განადგურდება ქვეყანა, ყველა კუთხე კუნჭულში გაბატონდება სიცრუე, ორპირობა სიყალბე, დასმენა, ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა. დაიღვრება ათასობით უდანაშაულო ადამიანთა სისხლი“.

✘ ✘ ✘

ვალერიან გეგეშიძეს სჯეროდა, რომ მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ ქვეყანაში საყოველთაო სიკეთე დაისადგურებდა. სინამდვილეში რა მოხდა? პარტიამ რომელსაც აღმერთებდა, მასობრივი ძალადობის, ტერორის, უკანონობის და ბოროტების გზა აირჩია.

✘ ✘ ✘

„ქართველმა ერმა ვერ გაითავისა დიდი ილია ჭავჭავაძის ბრძნული შეგონება „ერის გაერთიანება და ერთად დგომა“. ისევ დაქსაქსულობა, ისევ ქართველის მიერ ქართველის მტრობა და ხოცვა-ჟლეტვა. ყოველივე ამან საქართველოს ბედის ბორბალი უკუღმა დაატრიალა. კერენსკის მიერ მორთმეული თავისუფლებას ისევ ქართველის ტრადიციული ღალატით რუსეთის წითელმა არმიამ საქართველოს ყელი გამოჭრა — მოახდინა მისი მთლიანი ოკუპაცია“.

✘ ✘ ✘

„ნუთუ ყოველივე ღირდა რამედ? განვლილი გზა,

ტანჯვით განვლილი, სასაცილო ჩიხზე მიმდგარი, ის მწვერვალებიც მეზიზღება, რომლებზედაც განმიცდია სიამით გულის ძგერა“.



სურათი: ვალერიან გეგეშიძე (დგას) მიხა ცხაკაიას, მიხეილ ჩოდრიშვილის, ფილიპე მახარაძის და ვანო სტურუას შორის.

პროფესორ სოფიო ბერიძის წიგნიდან — „მიხა ცხაკაია“. 21-ე ფურცელზე საუბარია, აგრეთვე ვ. გეგეშიძის შესახებ.

„ვერა და ვერ მოთოკა გრძნობები, ვერ დათოკა მრისხანება. სწორედ ამ ყოველდღიურ განამანწიას შეენირა ვალერიანისა და მისი ოჯახის ჯანმრთელობა მკაცრი ცხოვრება დაუნდობლად ანადგურებდა მის იდეალებს. და როცა ძალისხმევას არაფერი შედეგი არ მოჰქონდა პარტიზული დადო.



ნაწყვეტი თანამებრძოლის ვალერიან ვაშაკიძის სახელზე გაგზავნილ წერილიდან:

აი, ვარლამ ამ ბოლო ხანს ჩემი მდგომარეობა როგორ მოეწყო: პირველად ავად გავხდი 1925 წლის დეკემბერში. მკურნალობის შემდეგ, 1927 წლის 22 მაისს, მუშაობას შევუდექი. მაგრამ ხუთი თვის შემდეგ შრომის უნარი დავკარგე.

მანამდე — 1905-1917 წლებში, რუსეთის ტყვევობიდან საქართველოს გამოხსნისათვის წარმოებულ ბრძოლებში განეული ჩემი წვლილი როგორც თქვენთვის

ცნობილია, ფართოდ არის გაშუქებული ჟურნალ „მატიანის“ ფურცლებზე.

რაც შეეხება შემდეგ მუშაობას, როცა კაცს არ მოეწონის ნივთიერად განადგურება, აბა რა სახსენებელია.



დედაჩემო შენ, რომ იმ ღამეს ვაგონიდან გადაგეთრე და სახლში წაგეყვანე რა კარგს იზავდი, სად გამიშვი მომაკვდავი, ორ-სამ დღეს მაინც ვიცოცხლებდი თქვენთან გემოზე.

გულრიფში

— 10 მარტი, 1927 წელი, თბილისი.

სალამო... გულმოთენთილი მოვიხედე უკან: რა იმედები, სიგიჟე!.. ნუთუ ყოველივე ღირდა რამედ?! განვლილი გზა: ტანჯვით გავლილი: სასაცილო, ჩიხზე მიმდგარი...



შენ მაინც რა დამნაშავე იყავი!.. ცუცა!

მწარე ცრემლების საგუბარო!

შენი უბედური, შენი გიჟი, მამა... მოვკვდები ისე, რომ შენანებას შენგან ვერ ველირსები... მონახე ჩემი საფლავი და ჩამოიხედე: შენი ბედნიერებაც იცოდე ჩემთან მარხია, ჩემთან იქნება.

ცუცა გენაცვალე! ეხლა პირველად შენს სახელზე გადმომვარდა ცრემლები, ჩემო განწირული შვილო...

გთხოვ ნუ დამემდურები, ცუცა!..



„როგორ ხართ, ბავშვები როგორ არიან. მე გლახად ვარ. იქნებ დავბრუნდე თუ შევძელი წამოსვლა, ეს ბედნიერება იქნება, თორემ ჩამოვა მარტო ჩემი ჩემოდანი. შევცდი სამტრედიას რომ გამოვცდი.

ჭკვიანად იყავით, არ მიტიროთ, თალხი არ შეიკეროთ, არ მიგლოვოთ, არაფერი ჩვეულებრივი არ აასრულოთ. ესაა ჩემი უკანასკნელი თხოვნა. კიდევ მოგწერთ.

ვალიკო. (წერილი გულრიფშიდან)

ვალიკო ძმას — აქვსენტი გეგეშიძეს

მე არაფერი მაკლია, გარდა სიცოცხლისა.

როგორც ვიყავი ისევ ისე ვარ.

ვიმგზავრე ტანჯვით. თბილისის სადგურის კიბეები არ დამავინწყდება, ფოთში დავიტანჯე. გემმაც კინალამ გამასწრო. რა თქმა უნდა ამ სატანჯველს ვერ აღვწერ.

...თბილისში მალე წადი. ფული ჭიჭოთ. იარე ცხელ აბანოში.

წინოს ეხლა არაფერი სავარო არ აქვს თბილისში წასვლაზე. ბინა თითქმის თავისუფალია. მას ძალიან მოუხდება. გულს გადააყოლებს — თეატრი, კინო და სხვა.

დატრიალდი წალმა და წადი. კაცს სიცოცხლეში ცა ერთხელ გაეხსნება.

ვალიკო. აბასთუმანი.



ოლია! როგორ ხარ, ცუცა მარტო ხომ წვება... ბაჭიას რძე ასვით ბევრი, სულ ჩრდილში იჯდეს, მიწაზე არ დანვეს, ცუცასთან შეიქციოს თავი... ალბათ ბაჭიას (მამას უმცროსი და) და ცუცას სამკურნალოდ აქ წამოვიყვან, უეჭველად სამუდამოდ მოვარჩენ ორთავეს.

✘ ✘ ✘

24 ოქტომბერი, 30 წელი

... აქვსენტი! (ძმას)

... უკანასკნელი კვირაა, სიკვდილი ზეიმობს. სჯობდა სოფელში მომკვდარიყავი, ნაკლებად შევწუხდებოდი მეც და თქვენც.

უმნეო ბრძოლა არ მიღირს, გულმაც მიღალატა, დეკომპენსაცია იწყო, ხველის შემდეგ ორჯერ კინალამ გავთავდი.

შეთვლილი მაქვს, ველი ბავშვებს, იქნებ მომისწრონ. აქ თუ გადავედი მინერალურ-ქიმიურ სამეფოში, ჩამათრიონ სოფელში (სპირიდონს ეს დავუბარე, სალი მოსაზღვებით).

არ დაუშვათ არავითარი ძველი აბრიადი: ტირილი, შორიდან მოწვევა, და სხვა. შეატყობინეთ მეზობლებს ახლოს, ვინც საჭიროა ტექნიკურად... შეიძლება დამწვან, უფრო მაღლობელი, სანერს ვერ ვაგნებ... იმდენი მრჩება, რამდენიც სიცოცხლე...

✘ ✘ ✘

აქვსენტი ვალიკოს

მე სამი დღის წინ დეპეშა მივიღე შენი, იმ დღესვე გიპასუხე. ეხლაც კიდევ გწერ: იყავი მედგრად, მტკიცედ, მოუარე თავს, არ დაკარგო იმედი... ცუცასთვის საჩუქრები მაქვს ნაყიდი... ნინამ მომწერა თურმე ბიძინე მე მკითხულობს — სადაა „აქეტიო“ ჩავალ ხვალ და რამდენიმე დღეც მათთან ვიქნები...

აქვსენტი. 1930 წ. 6 დეკემბერი.

(მამა 1931 წლის 14 იანვარს გარდაიცვალა)

❖ ❖ ❖

ოლია! ცუციკოს მედეა დაარქვი, ბიჭს ბიძინა.

სურათი: მედეა (ცუციკო) და ბიძინა მშობლებთან
ვალეკო და ოლია გეგეშიძეებთან

❖ ❖ ❖

ოლია! ეცადე, იქნებ ბიძინა დატოვო. ძნელია, მაგრამ რას იზავ, ასე აჯობებს. გამოცადე. იქნებ მიეჩვიოს ბებიასთან და ბაბუასთან ყოფნას. არ ვიდარდებდი, რომ ბავშვები ჩემს სიცოცხლეში დაიხოცებოდნენ.

❖ ❖ ❖

გულრიფშის სანატორიუმის დამსვენებლები ავეტიკა კახაროვი, აკაკი ლეკვეიშვილი, პაშა ჩახნაშვილი, და ალიომა ჯაფარიძე უღრმეს მნუხარებას გამოთქვამენ ძვირფასი მეგობრის ვალერიან (ვალეკო) გეგეშიძის უდროოდ გარდაცვალების გამო გულრიფშის სანატორიუმში 14 იანვარს დილის 10 საათზე.

გაზეთი „კომუნისტი“. 1931 წელი. 15 იანვარი.

ვალერიან გებეშიძე ბარდაცვალება

გაზეთი „ნინსვლა“
1931 წელი. 16 იანვარი.

ღრმად დამწუხრებული მეუღლე ოლია, შვილებით ცუცა და ბიძინათი, მშობლები: ფარნაოზი და თეო, ძმები: აქვსენტი (მეუღლე ნინათი), კონსტანტინე (მეუღლე ნანათი), ვასო, დები: ივდითი და ანგელინა, სიმამრი ლევანი, სიდედრი ეფროსინე კიკაჩიშვილები ძმებით, ცოლისძმები ვლადიმერი და პვლე ცოლშვილით აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მუდამ დაუფინყარი ვალიკო ფარნაოზის ძე გეგეშიძის გარდაცვალებას.

დასაფლავება მოხდება სოფელ მელაურში ა/წ 20 იანვარს, ნაშუადღევს 3 საათზე. გამოსვენება საკუთარი სახლიდან, გთხოვთ მოზრძანდეთ და ანუგეშოთ მწუხარებაში მყოფი მშობლები.



გაზეთი „კომუნისტი“
1931 წელი. 20 იანვარი

გამოსათხოვარ წერილიდან:

დღეს მინას მიაბარებენ ვალიკო გეგეშიძეს, მძიმეა ქვეყნისთვის თავდადებული მამულიშვილის დაკარგვა. მაგრამ განსაკუთრებით მძიმეა ვალიკოს უდროოდ დაღუპვა მეგობრებისათვის, მათთვის, ვინც მასთან მუშაობდა და იზრდოდა...”

ბიძინა გეგეშიძე

წერდა გულშეძრული საშა პაპავა. მაშინ ვალერიან გეგეშიძე ვვ წლისა იყო. არ გაივლის დიდი დრო ამ სტრიქონების ავტორს შორეულ ციმბირში უკრავენ თავს.

❖ ❖ ❖

ვალერიან გეგეშიძის გარდაცვალება

— საქართველოს კომუნისტური პარტისი (ბ) ცენტრალური კომიტეტი აუწყებს პარტორგანიზაციებს თავდადებული მამულიშვილის ამხ. ვალერიან (ვალეიკო) გეგეშიძის გარდაცვალებას.

გაზ. „კომუნისტი“. 1931 წ. 17 იანვარი.

❖ ❖ ❖

მწუხარებისაგან გულმოკლული მეუღლე ოლია კიკაჩიშვილი-გეგეშიძე, შვილები ცუცა და ბიძინა აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ სოხუმში 14 იანვარს გარდაიცვალა დაუვინყარი ვალეიკო გეგეშიძე

გაზ. „კომუნისტი“. 1931 წ. 16 იანვარი.

❖ ❖ ❖

გაუბედურებული მშობლები: ფარნაოზი და თეო გეგეშიძეები, ძმები: აქვსენტი, კოსტა, ვასო, რძლები: ნინა და ნუცა, დები: ივდითი, ანგელინა, აუწყებენ ნაცნობებსა და მეგობრებს, რომ 14 იანვარს, ქ. სოხუმში გარდაიცვალა მათი ძვირფასი ვალეიკო გეგეშიძე. დასაფლავება სამტრედიაში 20 იანვარს.

გაზ. „კომუნისტი“. 1931 წ. 18 იანვარი.

❖ ❖ ❖

სამუდამოდ დამწუხრებული მეუღლე ოლია, შვილები: ცუცა და ბიძინა, მშობლები: თეო და ფარნაოზი, ძმე-

ბი: აქესენტი, კოსტა, ვასო, დები: ივდითი და ანგელინა, რძლები: ნინა და ნუცა გეგეშიძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ვალიკო გეგეშიძის ხსოვნის აღსანიშნავად, 22 მარტს, 4 საათზე სამტრედიაში დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი. შაბათს — 1 მარტი, 1931 წ. გაზ „კომუნისტი“

❖ ❖ ❖

საბჭოთა კავშირის კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტი იუწყება ამხ. ვალერიან (ვალიკო) გეგეშიძის გარდაცვალებას და თა ნაგრძნობას უცხადებს ოჯახს.

(განცხადებებს თან ახლავს თანამშრომელთა გამო-სათხოვარი წერილები).

გაზ. „კომუნისტი“. 1931 წელი. 17 იანვარი

ნიკოლოზ კოპალეიშვილი — „ვალიკო გეგეშიძის ხსოვნას“ (სურათით) 17 იანვარი, 1931 წელი. გაზ. „კომუნისტი“

თანამებრძოლები — „ვალერიან (ვალიკო) გეგეშიძის ხსოვნას“ (სურათით) 18 იანვარი, 1931 წელი. გაზ. „კომუნისტი“

❖ ❖ ❖

სპირდონ კიკაჩეიშვილი — „დაუვინყარი მეგობრის ვალერიან გეგეშიძის ხსოვნას“.

გაზეთი „კომუნისტი“. 1931წელი. 18 იანვარი. (სურათით).

❖ ❖ ❖

ალექსანდრე პაპავა, შალვა ოდილავაძე — „მეგობრის ხსოვნას“ (სურათით) 1931, 20 იანვარი.



სამახსოვრო ღილი საფლავიდან

1957 წლის 17 ივლისს, I სამტრედიის ქალაქის ცენტრალური ტერიტორიის თვალსაჩინო ადგილიდან სოფელ მელაურის **საგვარეულო სასაფლაოზე** შვილის — ცუციკოს, მშობლების, მეუღლის, დის, ძმების და ძმის-შვილების საფლავებს შორის ვალიკო გეგეშიძის ნეშტის გადასვენების დროს, სასახლიდან ამოვიღე და დღემდე ვინახავ სამოსელის სადაფის ღილს.

ბიძინა გეგეშიძე
2008 წ. 16 ივნისი

პარალელური გამონათქვამები:

1924

ვალერიან გეგეშიძე:

ცუდი გზა ავირჩიე ცხოვრების, ჯობდა ხარს და გუ-
თანს მოვკიდებოდი. ჩემზე უბედნიერესი დღეს უბრალო
მეკამეჩეა.

1985

მუხრან მაჭავარიანი

რომ არ ამელო ხელში წიგნი, „თოხი მჭეროდა, ახლა,
ალბათ გაცილებით ბედნიერი ვიქნებოდი“.

2004

თამაზ წივნივაძე

„ვყოფილიყავი ჩემს კვახჭირში და არც სანანებელი
მექნებოდა ახლა რამე“.

ვალერიან გეგეშიძის შესახებ

დევი სტურუა:

ბატონ ბიძინას

„ბატონო ბიძინა, ამ დღეებში თქვენი სახელოვანი მამის, ვალერიან გეგეშიძის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით, მისი მიმზიდველი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ვრცელი ნარკვევი გამოქვეყნდება გაზეთ „კომუნისტის“ უახლოეს ნომერში (სურათით).

დევი სტურუა.

1986 წელი, 24 მარტი

**ოლია
კიკაჩეიშვილი
და სხვები**

ოლია კიკაჩიშვილი

ხარაგაული, სასამართლო აქვსენტი გეგეშიძეს ნინა!“
ვცდილობ მეც მალე წავიდე ვალიკოსთან და ჩემს სურვილს
ჩემი ფილტვებიც ხელს უწყობს. დიდ ტვირთს გიტოვებთ,
მაგრამ რას იზამთ. შეიბრალეთ უდედ-მამო ცუციკო
და ბიძინკო. ცუცა ჩემს სახელზე გაზარდეთ და ბიძინა
ვალიკოს. სახელები ჩვენი დაარქვით. მომწერეთ სანამ
ცოცხალი ვარ გამაგებინეთ როგორ არიან ჩემი ობლები.

ოლია. 1931 წელი, 1 თებერვალი.

სხვა წერილიდან: გთხოვთ — კობტად ლამაზად, იმ შავ
ტანსაცმელში გადაუღეთ ცუცას და ბიძინას სურათი და
გამომიგზავნეთ, ვუყურო სურათს მაინც. ეს ერთი თხოვნა
ამისრულებთ, გებრალეობდეთ.

მეტს არ განუხებთ. ისეც დიდი ტვირთს გიტოვებთ, ან
რა გამაჩნია მეტი რო დაგიტოვოთ?

ოლია.

✂ ✂ ✂

სურათი: ცუცა და ბიძინა. გადაღებულია 1932 წელს.

✂ ✂ ✂

სურათი: ცუციკო, ოლია, ვალიკო. აბასთუმანი 1926
წელი.

✂ ✂ ✂

სურათი: ცუციკო და ბიძინა დედასთან. 1935 წელი.

აბასთუმანი

დედამ „აბასთუმნის საერთო ხედი“ მისახსოვრა 1940 წლის 29 აპრილს. სწორედ აქ — აბასთუმანში, ამავე წლის ოქტომბერში დედა სამუდამო სასუფეველში წავიდა. მანამდე მომაკვდავი ამ დაბიდან თბილისში ჩამოვიდა და ბინა გრიბოედოვზე ჩემს სახელზე გააფორმა.

ბიძინა გეგეშიძე

1954 წელი.

ოლია კიკაჩიშვილი

ჩემს ობლებს — **ცუცას და ბიძინას**

გკოცნით შორიდან

რას შევებით შვილებო, თქვენზე დარდი და ნუხილი ჩემს გულში ჩაუქრობელი ცეცხლივით ტრიალებს. მინ და ჩემთან ახლოს მყავდეთ — არ მყევხართ.

მინდა დაგეხმართ, არც ამის საშუალება გამაჩნია გული მიკვდება. როდემდე უნდა ვიყოთ ამ მდგომარეობაში... თქვენი დედა ჯერ კიდევ პარაზიტია.

— აბა, თქვენ იცით როგორ მიხედავთ ერთიმეორეს... რომ ჩამოვალ ჩემო ანგელოზებო! ჩამოგიტანთ ბევრ საჩუქრებს.

ცუცა! როგორ ხარ, ექიმი რას გეუბნება, სკოლაში თუ დადიხარ. — ბიძინა რას შეება, ხომ დადის სკოლაში და როგორ სწავლობს მომწერე ყველაფერი, დედიკო. იყავით კარგად, გკოცნით ბევრს

თქვენი ტანჯული დედა

ოლია ოჯახს:

როგორ ხართ, როგორ არიან ჩემი ობლები. უკვე დაავიწყეთ ჩემი თავი ცუციკოს და ბიძინას არა?

ბავშვებს ეხლავე ნავიყვანდი მაგრამ ვერიდები დედას, მისი თხოვნით იყო, ბავშვებს სანამ სასწავლებელში შეიყვან აქ ჩემთან იყვნენო.

აქვსენტი! თხოვე დედას მიმიღოს, მინდა ცუციკოსთან და ბიძინასთან ყოფნით გავძღე. მათთან არყოფნა სიცოცხლეს მინახევრებს.

თუ მიმიღებთ ეკენისთვეში ჩამოვალ, სადაც ამდენიხანი მომითმენია ჩემი ობლების სიშორით, ცოტას კიდევ მოვითმენ.

✘ ✘ ✘

სალამი შორიდან, გკოცნით ჩემს ობლებს —
ცუცას და ბიძინას
წერილს რათ არ მიგზავნით, ხომ იცით რომ მე
თქვენი წერილი 2-3 წლის სიცოცხლეთ მიღირს. ასე ჩემო
ობლებო, მომწერეთ წერილი — როგორ მიდის სწავლის
საქმე... ბიძინა ავად ხომ არ ხდები, გენაცვალოთ დედა...

ესლა მშვიდობით. გკოცნით თქვენი დედა.
1936 წელი, 13 თებერვალი.

✘ ✘ ✘

ოლია აქვსენტის: გუშინ გელოდი, არც ბავშვები არ
ჩამოვიდნენ რა გჭირთ? არც წერილი, ვაი თუ ბიძინა არის
ავად. მე უკვე ჩავარდი ლოგინში...
იქნებ ვალიკოს სამოქალაქო პანაშვიდი შეუერთო,
ჩემს დასაფლავებას.
გებრალებოდეთ ობლები, აბა, თქვენ იცით.

✘ ✘ ✘

სამახსოვრო წარწერა ალიო მამაშვილისა და ირაკ-
ლი აბაშიძის 1934 წელს გამოცემულ ლექსების წიგნზე:
„სახსოვრად ცუცას! დედისაგან“
18 აპრილი, 1935 წელი.

✘ ✘ ✘

აქვსენტი კოსტას (ძმა).
რატომღაც მგონია, რომ ბიძინას პენსიის ფული
უხეიროდ გაქვთ გახარჯული... უთაოდ, უმიზნოდ. მე
იმისთვის ვფრთხილობ, რომ ბოლოს განითლება არ
მოგვიხდეს.
აქვსენტი. 13 მაისი...

მელა (ტუციკო)
გეგეშიქე

მეფა (ცუციკო) გეგეშიძე და სხვები

სურათი: დედა-შვილი ცუცა და ოლია. 1926 წელი.

ვალეკო: მინდა ბიძინა იმხელა დავტოვო დამიმას-
სოვროს.

1929 წელი.

ცუციკო: შენ მაინც იყავი ცოცხალი, ბიძინა!
1936 წელი.

ოლია: გაიზარდე შვილო ბიძინიკო, შენი მამის, დის
და დედის სახელზე.

1937 წელი.

ფარნაოზ და თეო გეგეშიძეებს
ნაწყვეტი ვასო გეგეშიძის მიერ მშობლების სახელ-
ზე დაწერილი ბარათიდან

... ეხლა მეტი დრო არ მაქვს, რასაც გწერთ შემისრუ-
ლეთ... მოკითხვა ცუციკოს, ბიძინას და გურამის. რაცხა
გევიგე ბიძინაზე, ჩვენი ლეკვსთვის შაური შეუძლეფია,
რამდენად მართალია არ ვიცი, მარა ის კი გავიგე, უზენ-
აეს სასამართლოშია აღძრული საქმეო. პატარა ქკუით
იყოს!

ვასო

1935 წ. 12 ნოემბერი.

თბილისი, სტუდენტთა ქალაქი, 1 კორპუსი, ოთახი

16

ვასილ გეგეშიძეს

აქესენტი გეგეშიძე
სალამი

ცუცას მდგომარეობაზე მოინერე ... არ დაიქცევა ქვეყანა ყოველდღიური სიცხის ცნობას რომ მომანვდიდეთ. სიცხემ აუწიაო რომ ინერებით, ალბათ გაცივდა. მე შეიძლება ერთ კვირაში ჩამოვიდე.

აქესენტი

1936 წელი. მაისის 25.



სალამი ყველას — სალამი ცუცას და ბიძინას

იყავით კარგად, ჭკუით და ღინჯად, ფრთხილად და მორიდებით. ნაკლები გულისხმეთქვა, ნაკლები ჯავრი. ყველა ამათი შეუსრულებლობა ბიძინას და ცუცას საზიანო იქნება. მე ვფიქრობ, რომ მაგენია ყველას იმედი — მაგენი ობლები არიან, მაგათი გაზრდა დიდი იმედია. მე მაქ, რომ ვიყავი ნეტავ არც კი წამოვსულიყავი, სიცოცხლე გავათავე, გაბრუებული ვიყავი, სახლშიც არ გავჩერებულვარ, რაფერ ვიყავი არც მე ვიცი. თუ დამიჯერებთ, რაღაც მახსოვრობაც მეკარგება, არ მძინავს, ვერ ვისვენებ. მე ვიცი თქვენ ჩემზე უარეს მდგომარეობაში იქნებით, ანდა ვალიკოს პატრონს განა შეუძლია იყოს მშვიდად? მაგრამ ჭკუა მაინც საჭიროა და წინდახედულობა.

ვალიკოს გაუზარდოთ ბავშვები საიმედოდ. თქვენი აქესენტი. 14. 02. 31.



მედეა (ცუციკო) გეგეშიძე ცუცა გეგეშიძის განცხადება მელაურის სკოლის დირექციას. „ენერ-მელაურის სკოლის მონაფე მე — ცუცა ვალერიანის ასული გეგეშიძე ავადმყოფობამ დამაბრკოლა რომ გამეგრძელებინა სწავლა. ვინაიდან ამჟამად ვარ გამოჯამრთელებული გთხოვთ დამრთოთ ნება გავაგრძელო სწავლა

გამცხადებული ცუცა გეგეშიძე.

✘ ✘ ✘

აქვსენტი გეგეშიძე: „ბიძინა გრუქნი აკაკი წერეთლის მოთხრობას — „დათუნა გოცირიძეს“. წაიკითხე გულდასმით და მერე შინაარსი მომიყევი“.

✘ ✘ ✘

აქვსენტი:

„1934 წელს „ცუცას და ბიძინას სახელზე გამოვიწერე ილია ჭავჭავაძისა და მარქსის „კაპიტლის“ ტომეულები“.

მათ დღემდე ვინახავ საოჯახო არქივში. 2008 წელი.

✘ ✘ ✘

სურათი: 1934 წელი. ცუციკო და ბიძინა ფარნაოზ ბაბუასთან და თეო ბებიასთან ერთად.

✘ ✘ ✘

სურათი: ხარაგაული, 1935 წელი.

ცუცა და ბიძინა გამზრდელ ბიძა აქვსენტი გეგეშიძესთან და ბიცოლა ნინო ხუჭუასთან ერთად.

✘ ✘ ✘

სურათი: უსაყვარლესი დიდი ბიცოლა ნინო ხუჭუა ეფერება პატარა რუსუდან ბიძინას ასულ გეგეშიძეს.

სურათი გადაღებულია 1967 წელს.

ცუციკოს უკანასკნელი ფოტო. მარტო. თეთრ კაბაში.

1936 წ.

✘ ✘ ✘

ბიძინა გეგეშიძე

სიცოცხლის მეათე წელს ჩემი ერთადერთი დის ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა... ვერ გაუძლო თერთმეტი წლის მედეამ (ცუციკო) დედ-მამის უდროვოდ დაკარგვით გამონვეულ სევდას და იგი ლოგინად ჩავარდა, მეც ავად გავხდი, ორთავე მელაურში, მამისეულ ოდა-სახლში ვინექით — ცუციკო ბუხართან ახლოს, მე კი მოპირდაპირე კედლის სარკმელთან... ავადმყოფებს ბებია თეომ წამალი შემოგვიტანა... რომლის დასალევად ცუციკო ეცადა წამოდგომას, მაგრამ ვერ შეძლო... მკერდიდან ხელი ჩამოუვარდა, უძირო სევდითა და ცრემლით სავსე თვალები მომაპყრო... მერე უკანასკნელად გაფითრებულ ბაგიდან ოთხად-ოთხი სიტყვა აღმოხდა: „შენ მაინც იცოცხლე ბიძინა“.

1936-2004



სამგლოვიარო განცხადება

„ღრმად დამწუხრებული დედა ოლია, ძმა ბიძინა, ბებია თეო, ბაბუა ფარნაოზი, ბიძები: აქვსენტი, კოსტა, ვასო, მამიდები: ივდითი და ანგელინა, ბიძაშვილები: გულიმჯანი, ნანა, ბიცოლები: ნინა ხუჭუა, ნინა კახიანი დავსტირით

ცუცა ვალიკოს ასულ გეგეშიძის

უდროოდ დაკარგვას, დაკრძალვა მელაურში დღით ხუთშაბათს, 1 ოქტომბერს, გთხოვთ მობრძანდეთ და ანუგეშოთ მწუხარებაში მყოფი ქირისუფალი“.



წერილი

ნინა კახიანი — ცუცას და ბიძინას ბიცოლა, კონსტანტინე გეგეშიძის მეუღლე. ნანულის და ფიქრიას დედა. (წერილის სტილი დაცულია)

მეფა (ცუციკო) გეგეშიძე და სხვები

„ბიძინიკო ბიცოლა, გაიზარდე საამაყო, ჯამრთელი და ჭკვიანი, პატიოსანი და კარგი. შენი გაზრდით ყველა ვხარობდეთ, ბიცოლა. შენი თავი ღმერთმა დიდი მოგვასწროს ყველას, ბიცოლა გეხვეწები არაფერი იჯავრო.

ცუციკო შენ სად ხარ, შენ გამოთიშული ხარ, ბიცოლა. მე ყოველთვის მოგიგონებ შენ. იყავი მაქ მოსვენებით და თავისუფლად!

✘ ✘ ✘

1940 წლის 26 ივნისს წალვერში დასასვენებლად ვიყავი. აბასთუმანში მძიმე სენით დაავადებულ დედას წერილთან ერთად სურათიც გავუგზავნე. სამ დღეში მისგან საპასუხო წერილი და ავტოგრაფიანი სურათი მივიღე. სამწუხაროთ წერილებითა და სურათებით მოფერება-მოსიყვარულება დიდხანს არ გაგრძელდა. ამავე წლის ოქტომბერში გარდაიცვალა.

✘ ✘ ✘

სახსოვრად ჩემს ბიძინას.

სურათი გადაღებულია აბასთუმანში 1932 წელს თავის მეგობარ ცოლ-ქმართან ერთად. დედამ სურათი მაჩუქა 1940 წლის 29 აპრილს თბილისში, მასთან სტუმრობის დროს.

ბ. გეგეშიძე
2003 წ.

✘ ✘ ✘

დედაჩემის უკანასკნელი დღე

1940 წლის ოქტომბერში, აბასთუმნიდან გვაცნობეს დედაჩემის ჯამრთელობის გაუარესების ამბავი. მაშინვე, დაუყოვნებლივ აბასთუმანს გაემგზავრნენ დედა ეფროსინე, და ჟენია, ძმა პავლეუმა, ბიძა არსენ კიკაჩიშვილი და მათი კონსტანტინე გეგეშიძე.

ბიძინა გეგეშიძე

მას შემდეგ დღემდე სათუთად ვინახავ ჩემი ტანჯული დედის ამ ქვეყნად მისი ცხოვრების უკანასკნელი დღის ამსახველ ჩანაწერს, რომელიც ეფროსინე ბებოს მონათხრობის მიხედვით შევადგინე 12 წლის ასაკში.

ბიძინა გეგეშიძე

2008 წ. 16 ივნისი

✘ ✘ ✘

მედეა (ცუციკო) გეგეშიძე

1936 წლის 25 სექტემბრის დილას 10 საათზე სამზეოს განერიდა ჩემი ერთადერთი და — მედე (ცუციკო) გეგეშიძე ... თერთმეტი წლის გოგონას ამ ქვეყნად 16 ფოტოსურათისა და ხუთი წერილის მეტი სხვა არაფერი დარჩენია.

ფრაგმენტები ამ წერილებიდან:

„8 მაისი, 1934, წ.

სალამი საერთოდ (უთარილო)

მომწერეთ როგორ ხართ. ბიძინა ჩემო ერთადერთო ძმაო, შენ მაინც გამომიგზავნე წერილი... ბიძინა ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა გაგაგებინო, ტუფლების ზაკაზი აქვს აქვსენტ ბიძიას მიცემული. ნუ გეშინია. მე 21 დღის შემდეგ სახლში ვიქნები... ბებიკო მე ისე გავსუქდი, რომ მნახო დათვი გეგონები... ბაბუა რომ დამეჭიდავო ნაგაქცევ თქვენი ცუციკო“

✘ ✘ ✘

„სალამი დაო ლელი (უთარილო)

გისურვებ ყოველივეს კარგს... შენს ბოსტნეულს ვუვლი, ლობიოს უკვე პარკები აქვს. ეკლები მოვაშორე... სარებით გავამაგრე, ხელს არავის ვაკიდებინებ... მეტი რა მოგწერო. მომიკითხე ლევიკო, იაგო, კასიო, დეზდემონა, ოტელო, ემილია, ზალიკო.

მომწერე როგორ ხარ, ცუციკო.“

„სალამი ბებიას. (უთარილო)

გისურვებ კარგად ყოფნას. ბებია მე აქ ვრჩები საექიმოდ... მომენატრა მჭადი, ფქვილი გამომიგზავნე... ხველებამ შემიკლო, რედგენზე გამაშუქეს... წამლები გამომინერეს, რომ გამაშუქეს ნინო ბიცოლა წინ დამიყენეს, ჩემ ფილტვებს შეახედეს... მეტი რა მოგწეროთ. ბებია, ბაბუა, ბიცოლა, მამიდა იყავით კარგად. ბებია, გწერ შენი საყვარელი ცუცა. გადამიკოცნე სუყველა.

„სალამი მამიდას (უთარილო)

მამიდა ხომ კარგად ხარ... მე ცუდად ვარ — ჭიები, ჯირყვლები, მალარია. აი, აგენი მაქვს. ჩამოდი მამიდა, მალე. ხელთათმანები ჩამომიტანე... მე თევზის ზეთს ვსვამ და სხვა წამლებს. მეტი რა შემოგიტვალო იყავი კარგად და ჯანმრთელად.

ცუციკო

სურათები:

1. სამი თვის ცუციკო დედასთან.
2. ცუციკო დედასთან და მამასთან (აბასთუმანი).
3. ცუციკო, ბებია თეო, დედა ოლია, მამა ვალიკო. აბასთუმანი. 1926 წელი.
4. ცუციკო, ბიძინა მშობლებთან. 1927 წ.
5. ცუციკო და ბიძინა დედასთან: 1935 წ.
6. ცუცა წიგნს კითხულობს, ბიძინა უსმენს, დედა დგას. 1937 წ.
7. მეფეა (ცუციკო) მდინარის პირას. აბასთუმანი. 1928 წ.

8. მედეა (ცუციკო), ბიძინა, ვალიკო, ოლია ბათუმში შუბლაძეებთან. 1927 წ.

9. ცუციკო და ბიძინა ხელჩაკიდებულები, სამტრედია. 1936 წ.

10. ცუცა და ბიძინა ფარნაოზ ბაბუასთან და თეო ბებოსთან ერთად. სამტრედია. 1937 წ.

11. ცუცა (მედეა), ბიძინა ბიძა აქვსენტიანთან და ბიცოლა ნინოსთან ხარაგაულში. 1935 წ.

12. ორი წლის მედეა გახდილი (დაყრდნობილია ხელებზე) 1927 წ.

13. ცუციკო მარტო (ორი წლის).

14. ცუცა და ბიძინა (შუბლზე თმა), 1935 წ.

15. ცუციკო, კლასელებთან მეტად სევდიანი სახით, გადაღებულია მელაურის მთავარანგელოზის ეკლესიის ჩრდილოეთ კედელთან. სამზეოდან წასვლამდე რვა თვით ადრე. 1935 წ.

**ვალერიან გეგეჭიძის
ძეგუი:
ავქსენტი, ვასო და კოსტა
დეგუი:
ივლითი და ანგელინა**

ბიძინა გეგეშიძე

აქვსესტი:

დედაჩემო ბიძინამ მითხრა ბებია ავადაა, შენ, მე ვიცი ახლა ტირილის მეტს არაფერს აკეთებ. ტირილით იტირე, აბა, რა კარგი გჭირს, მაგრამ წინაც გაიხედე, შენზე კიდევ რამდენის ბედია დამოკიდებული. დაფიქ- რდი და უცბად ნურაფერს ნუ გადანყვეტ.

მე შენზე უფრო მიჭირს, სიკვდილს თვალებში ჩავჩერებივარ, ავადმყოფობამ რომ არ მომკლას ან გულისხეთქვა, ან გულიმჯანის (ქალიშვილი) და ცუციკოს დარდი მომკლავს. არადა მაინც დუმილს ვამჯობინებ აბა რა ვქნა, ასე ნელა ჩავბარდე ბედს...?

აქვსენტი. 1937 წ. ოქტომბერი.

(ამავე წლის ნოემბერში გარდაიცვალა...)



ვასილ გეგეშიძე

1912 — 14 მაისი

1937 — 14 მაისი

მამაჩემის უმცროსი ძმა — ვასო (ბასილა) გეგეშიძე ოცდაოთხი წლის ასაკში ტრაგიკულად დაიღუპა ქ. თბილისში. იგი გამოირჩეოდა უკეთილშობილესი შინაგანი ბუნებით, თავდამბლობით, ვაჟკაცობით, ფიზიკური სილამაზით, უმდიდრესი განსწავლულობით, ხალასი იუმორის გრძნობით და მუდამ სიკეთის კეთების ნიჭით... განსაკუთრებულ ყურადღებას, სითბოსა და სიყვარულს ავლენდა იგი დაობლებული მცირეწლოვანი ძმისშვილების — ცუცასა და ჩემს მიმართ.

სამწუხაროდ, ამ ქვეყნიდან ბასილას (ასე ვეძახდით ოჯახში) მხოლოდ ერთი სანადირო თოფი, სტუდენტის ჩანთა, რამოდენიმე წერილი, ფოტოსურათი და პოლიტექნიკური ინსტიტუტის საგამოცდო ნიგნაკი (მატრიკული) დარჩა, რომლებსაც აგერ მთელი 66 წლის მანძილზე სასოებით ვუვლი და ვპატრონობ. მინდა

3. გეგეშიძის ძეგლი: აქსენტი, ვასო, კოსტა, დავი ივლითი და ანბელა

ეს ტრადიცია ჩემმა შვილიშვილმა დავით (უმცროსი მამუკა) ვალერიანის ძე გეგეშიძემ გააგრძელოს.

ბიძინა გეგეშიძე, 2003 წ. აგვისტო.

სურათზე: ფარნაოზ, თეო, ვასო და ბიძინა გეგეშიძეები. 1936 წ.

აქსენტი გეგეშიძე 1939-1937.

გარდაცვლილი მამის და მძიმე სენით შეპყრობილი დედაჩემის მაგივრობას — ცუციკოსა და მე, ბებია თეოსთან და ბაბუა ფარნაოზთან ერთად, გულმოდგინედ გვინვედნენ მზრუნველობას ბიძა აქსენტი გეგეშიძე (1899-1937) და ბიცოლა ნინო ხუჭუა (1902-1972) მაგრამ ჩვენი სიხარულით აღსავსე დღეები ხანგრძლივი არ გამოდგა. ჭიათურის მთავარი პროკურორის თანამდებობაზე მუშაობის დროს აქსენტი 1937 წლის რეპრესიებმა იმსხვერპლა. მანამდე კი სიცოცხლე ჩაუმნარდა სათაყვანებელი ძმის, შვილების: აკაკის და გულიმჯანის, აგრეთვე ძმიშვილის ცუციკოს გარდაცვალებამ.

თავზარდაცემული ბიცოლა ნინო სასწრაფოდ გაეცალა დაწყვეტილ მამა-პაპისეულ კერას და მელაურიდან თბილისში, რკინიგზის ერთ-ერთ სკოლაში განაგრძო პედაგოგიური მოღვაწეობა. მალე, ხელისუფლების ბრძანებულებით მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება, ამასთან დაჯილდოვდა ლენინის უმაღლესი და შრომის ნითელი დროშის ორდენებით.

რა თქმა უნდა, ნინოსაგან სითბო და ამაგი არც ბიძაჩემის დაღუპვის შემდეგ მომკლებია. ძალზე უხაროდა ჩემი ჯამრთელად ყოფნა, უმაღლესში ჩარიცხვა, დაცოლშვილება და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა. რა დამავინყებს ამ უკეთილშობილეს ადამიანის მიერ ჩემთვის მამისა და ბიძის მდიდარი საარქივო მასა-

ბიძინა გეგეშიძე

ლების გადმოცემის ფაქტს და საოჯახო ბიბლიოთეკიდან ორასამდე უნიკალური წიგნის, მათ შორის მამას შეძენილი: „ბიბლიის“ (1908 წელს სანკტ. პეტერბურგში გამოცემული), „ნიკოლოზ ბარათაშვილის (ივანე გომართელის რედაქციით. 1924 წელი), „ილია ჭავჭავაძის“ (თხზულებების. 1930 წ.)“ და „არტურ შოპენგაუერის“ (საკ. პეტერბურგი, 1887) წიგნების ჩუქებას.



სალამი ყველას —

სალამი ბიძინას და ცუცას.

იყავით კარგად. ჭკუით და დინჯათ. ფრთხილათ და მორიდებით ერთიმეორესთან. ნაკლები გულისხმეთქვა, ნაკლები ჯავრი. ყველა ამათი შეუსრულებლობა ბიძინას და ცუცას საზინაო იქნება. მე ვფიქრობ, რომ მაგენია ყველას იმედი — მაგენი ობლები არიან — მაგათი გაზრდა — დიდი იმედია.

მე მაქ რომ ვიყავი, ნეტავი არც კი წამოვსულიყავი, სიცოცხლე გავათავე, გაბრუებული ვიყავი, მაშინ შინ არ გავჩერებულვარ, რაფერ ვიყავი არც მე ვიცი. თუ დამიჯერებთ, ძალზე გაოგნებული ვარ, რაღაც მახსოვრობაც მეკარგება, არ მძინავს, ვერ ვისვენებ.

მე ვიცი თქვენ ჩემზე უარეს მდგომარეობაში იქნებით, ან და ვალიკოს პატრონს განა შეუძლია იყოს მშვიდათ? მაგრამ ჭკუა მაინც საჭიროა და წინდახედულობა. ვალიკოს გაუზარდოთ ბავშვები საიმედოთ. აქვსენტი გეგეშიძე



საფლავის მოწყობის შესახებ სამსონის წერილი მივიღე. ყოფილა ნიკურაძესთან. 30 მანეთი მოუთხოვია — მივცეთ. კიდევ მიდი სამსონასთან — დაგეხმარება. მეც ჩამავალ თუ საჭირო ვიქნები.

მოიწერეთ

3. გეგეშიძის ძეგლი: აქსენტი, ვასო, კოსტა, დევი ივლითი და ანგელა

თქვენი აქსენტი
14/11

მგლოვიარე აქსენტი, დავხატე 1937 წელს.
ბიძინა გეგეშიძე

აქსენტი გეგეშიძე, ნინა ხუჭუა
გაზეთი — „კომუნისტი“, 1929 წელი, 29 დეკემბერი.
თბილისის სახელმწიფო სამართლის ინსტიტუტის
დირექციის მიერ გამოქვეყნებულ სიაში, დაუსწრებელ
ფაკულტეტზე ჩარიცხულთა შორის წარმოდგენილია
ხარაგაულის რაიონის მთავარი პროკურორი აქსენტი
ფარაოზის ძე გეგეშიძე.

სურათი: აქსენტი გეგეშიძე ინსტიტუტის პროფე-
სორ-პედაგოგებსა და სტუდენტთა შორის.

სურათი: შვიდი შვილისა და ოთხ შვილიშვილზე
მგლოვიარე, 100 წელს მიღწეული, თეო გაბრიელის
ასული ხუჭუა დაობლებულ ცუციკოსა და ბიძინაზე,
მზრუნველი ბიცოლა, საქართველოს რესპუბლიკის
დამსახურებული მასწავლებელი, ორგზის ლენინის ორ-
დენოსანი, ნინო ლუკას ასული ხუჭუა-გეგეშიძე და თე-
ოს პირველი ვაჟიშვილის სახელის მოზიარე, შვილთაშ-
ვილი ვალერიან (მამუკა) ბიძინას ძე გეგეშიძე. 1962 წ.
ფოტო ბიძინა გეგეშიძის

სურათი: ნინა ხუჭუა-გეგეშიძე ეფერება პატარა
რუსუდან ბიძინას ასულ გეგეშიძეს. 1967 წელი.

სურათი: ობლები ცუცა და ბიძინა ბიცოლა ნინოს-
თან და ბიძა აქსენტი გეგეშიძეებთან ერთად. 1935 წე-
ლი. ხარაგაული.

ბიძინა გეგეშიძე

სურათი: ეთერი რუხაძე პატარა მამუკასთან ერთად
სტუმრად ბიცოლა ნინოსთან...
თბილისი, ჩუღურეთი. 1961 წ.

❖ ❖ ❖

სამგლოვიარო განცხადება: გაზ. „თბილისი“. 12 დეკემბერი. 1989 წელი.

„და ვერა ხუჭუა, მაზლიშვილი ბიძინა გეგეშიძე, (ოჯახით...) მაზლი კლიმენტი ლეჟავა, რძალი ლიზა, მაზლიშვილები მანანა, მაკა, ნათელა, ლია, ირაკლი ლეჟავები, სიძეები თენგიზ ყარანგოზაშვილი, ჯონი იოსელიანი, ვაჟა ნუცუბიძე იუნყებიან, რომ გარდაიცვალა

ნინო ლუკას ასული ხუჭუა-გეგეშიძე

პანაშვიდი 13, 14 დეკემბერი, 7 ს. გამოსვენება 15 დეკემბერს 3 საათზე. მე-8 ლეგიონის დასახლება, მე-კორპუსი.

❖ ❖ ❖

ნინო ლუკას ასული ხუჭუა (1902-1979) ცუციკოსა და მე როგორც საკუთარი დედა ისე გვივლიდა, ობლებს ზრუნვასა და სიტბოს არ გვაკლებდა. იგი მეუღლისა და ჩემი დის გარდაცვალების შემდეგაც, მთელი 32 წლის მანძილზე არ მაკლებდა ყურადღებასა, მოესწრო ჩემს დაოჯახებას.

ნათელში ამყოფოს მისი სული უფალმა.

ბიძინა ვალიკოს ძე გეგეშიძე

2003 წელი. სექტემბერი. (27) ეთერის ავდ. პერ.

❖ ❖ ❖

სურათი — „მგლოვიარე აქვსენტი გეგეშიძე“, 1937 წელი, ბიძინა გეგეშიძის ნახატი.

**ფარნაოზ გეგეშიძის
და
თეო სუჭუას
გარდაცვალება**

ბიძინა გეგეშიძე

„ღრმა მწუხარებაში მყოფი მეუღლე თეო, შვილები კოსტა, ივდითი და ანგელინა, შვილიშვილები ბიძინა, ნანული, ფიქრია და ბეჟანი, რძლები ნინა ხუჭუა, ნინა კახიანი, აუწყებენ რომ გარდაიცვალა მათთვის დაუფინყარი ფარნაოზ იაკობის ძე გეგეშიძე დაკრძალვა მოხდება სოფელ მელაურში 1950 წლის 23 აგვისტოს, ხუთშაბათს, 6 საათზე. გაზ. „სოციალისტური შეტევა“.



გეგეშიძეების ოჯახის დიდი წინაპარი, ბრძენ კაცად აღიარებული, ბევრი ეროვნული საქმის მოთავე ანდრია ბერიკას ძე გეგეშიძე (1824-1914), მეუღლე, მაქა ქოიავასთან ერთად ადრე დაობლებულ ძმიშვილს დაოჯახების შემდეგაც გვერდში ედგა. ფარნაოზსა და თეოს შვილების სწავლა-აღზრდის საქმეშიც დიდად ეხმარებოდა.

გეგეშიძეების ოჯახში შემორჩენილია 1908 წელს გადაღებულ უნიკალურ ფოტოსურათი, რომელზეც ჭაბუკ აქვსენტი გეგეშიძესთან ერთად გამოსახულნი არი ან დიდებული აღნაგობისა და სილამაზით შემკული ცოლ-ქმარი ანდრია გეგეშიძე და მაქა ქოიავა.

მათ ნაფუძვარზე აღმართულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით მარმარილოს დიდი მემორიალური დაფა. რომელიც მიეძღვნა გეგეშიძეების ოჯახში ცარიზმის წინააღმდეგ გაჩაღებულ ბრძოლებს. და 1905 წლის მაისში ახალგაზრდა იოსებ სტალინის მონაწილეობით იქ ჩატარებულ კონფერენციას.



თეო გეგეშიძე

გაზ. „წინსვლა“ . 3 იანვარი. 1967 წ.

„შვილები კოსტა, ივდითი, შვილიშვილები ბიძინა, ეთერ რუხაძე, ნანული, ია, ბეჟანი, რძლები ნინა ხუჭუა, ნინა კახიანი, შვილთაშვილები: ვალიკო, რუსუდან გეგეშიძეები, ბესიკ ხაბეიშვილი, და მარიამ თარგამაძე შვილებით, ძმიშვილები ნატალია ხუჭუა, ფეოდორა თარგამაძე ოჯახებით იუნყებიან პერსონალური პენსიონერის თეო გაბრიელის ასულ ხუჭუა-გეგეშიძის გარდაცვალებას. დაკრძალვა 1967 წლის 5 იანვარს. სოფელ მელაურში

✘ ✘ ✘

გაზ. „კომუნისტი“ 5 იანვარი, 1967 წ.
„თეო გეგეშიძის ხსოვნას“
სურათი.

ნაწყვეტი ნეკროლოგიდან: „ცარიზმის წინააღმდეგ დაუცხრომელი მებრძოლის, თეო გეგეშიძის ნათელი ხსოვნა იცოცხლებს მისი მეგობრებისა და ახლობლების გულეებში“.

ამასთან, თეო გაბრიელის ასული ხუჭუა-გეგეშიძის გარდაცვალების გამო პრესაში ისტამბება საქართველოს კომპარტიის სამტრედიის რაიკომის, ამავე რაიონის აღმასრულებელი საბჭოს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული კომიტეტის, მელაურის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობის, სასოფლო საბჭოსა და საზოგადოების სამგლოვიარო განცხადებები, გამოსათხოვარი წერილები სურათებით და ნეკროლოგების (სურათებით). გაზეთ „თბილისმა“ გამოაქვეყნა ცნობილი ჟურნალისტის შალვა გულუას ნარკვევი — „გაუტეხელი გული“.

(თეო ხუჭუა ვალერიან გეგეშიძის დედა და თანამებრძოლი. სურათი)

ბიბლიის რეზიუმე

საკუთარ გულს მიხედით...

ჩემზე ათიოდე წლით უფროსია, თუმცა ასაკობრივი სხვაობა მეგობრობაში ხელს არ გვიშლის, ყოველი შეხვედრისას ვგრძნობ, რომ ჩემს სულში რაღაც ახალი შემოიჭრა, როცა საუბარი ოჯახურ ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს შეეხო. მე ჩემი ვთქვი, იმან თავისი, ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ უნარსულოდ ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსებოდა.

— რაც წლები მომეძალა, სულ უფრო მეტს ვფიქრობ ნუთისოფლის რაობაზე, — მითხრა მაშინ ბიძინა გეგეში- ძემ, — ვინ ამას იტყვის, ვინ — იმას, სათქმელი არ დაილევს. მაგრამ მარადიული კითხვა, რა არის ცხოვრება, თითქმის მუდამ პასუხგაუცემელი რჩება... ეს უდავოდ იმის ბრალიც არის, რომ დედამინის ზურგზე ჯერ არავის დაუდგენია, რა პრინციპებით უნდა იხელმძღვანელოს ადამიანმა, რომ ერთნაირ პირნათელი იყოს და ბერთანაც. კი, არის ზოგადი დებულებები, მაგრამ ისინი თუ ერთ შემთხვევაში ამართლებენ, მეორე შემთხვევაში უკუშედეგს იძლევიან. ჩემი რწმენით, ადამიანმა თვითონ უნდა შეიმუშაოს მრწამსი და კრედო, იმ ზოგად ჩარჩოებში რომ ჩაეტყვა...

ბატონი ბიძინა ცამდე მართალია! საკუთარი თავის „პოვნის პრობლემა“ ყველაზე მწვავედ გამოიკვეთა დღეს, როცა უკვე მოიშალა ან იშლება ძველი ღირებულებები, წინა პლანზეა სრულიად ახალი ურთიერთობები და შეხედულებები. ისინი სულ უფრო აშკარად და დაუნდობლად უპირისპირდებიან იმას, „რაც უკვე იყო“. ფეხს იკიდებს თვალისა და ყურისთვის მიუჩვეველი ფასეულობები. „ახლები“ მომეტებული ეჭვით ეკიდებიან „ძველების“ ღაღადსს „ჩემი ოჯახი, ჩემი ციხე-სიმაგ-

რეა“, ნუ გაგიკვირდებათ, თუ ირონიულადაც ჩაიქირქილებენ — „მაგარი ციხე-სიმაგრე კი გქონია, აი!“ მე მგონი, ამის თავიდათავია კოსმიური სიჩქარე, რომელიც ყველგან და ყველაფერში, მათ შორის ოჯახურ ურთიერთობებში, ცხვირს უბოდიშოდ ყოფს.

— არც, ტელევიზორი იყო და არც რადიო, მაგრამ გვექონდა სიყვარულით ნაქსოვი საოცარი გარემო. იქ ვიზრდებოდით და ვსწავლობდით ცხოვრების ანაბანას. სწორედ რომ იმ გარემომ მაჩუქა ერთგული თანამგზავრი ეთერ რუხაძე. ქონება თავზე არ გადაგვდიოდა, მაგრამ ყველაფერს, რასაც „ჩვენი“ ერქვა, ურთიერთპატივისცემის მაღლი ეცხო. არ მახსოვს რომ ოჯახისთვის მნიშვნელოვანი საკითხი ერთპიროვნულად გადამენწყვიტა. ეთერი იყო ჩემი ფიქრების მოზიარეც და კეთილი მრჩეველიც. არ ვიცი, ბატონო, ასე ვიარეთ ექვს ათეულ წელზე მეტი, გავზარდეთ შვილები და შვილიშვილები. მაღლობა უფალს, ისინიც ჩვენს კვალს მოჰყვებიან.

ნათქვამოა, „ცოლის ქება აუგიაო“. რა ვუყოთ, ზოგჯერ წინაპრებიც ცოდავდნენ: როცა ყველაფერს თავისი წონა და ზომა აქვს, დამსახურებული ქება არც მეუღლისგან არის აუგი. ჩვენი შვილები აკვირდებოდნენ ყველაფერს, რაც ოჯახურ გარემოში ხდებოდა, ხედავდნენ, ერთმანეთის სიყვარულით როგორ ვაკონინებდით სულ მცირე სიხარულს, რათა ის დიდ ბედნიერებად გადაგვექცია. ამ ყოველდღიურობამ მათშიც აღზარდა სიკეთის დანახვისა და გაცემის უნარი. და თუ ჩვენი შვილები ადამიანებად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას ეს ჩვენი, მშობლების დამსახურებაა. ეს დამსახურებაა, ქალბატონისა, რომელიც ერთდროულად **დედაც იყო, მეუღლეც, გადიაც და ხელმადლიანი დიასახლისიც.**

ხომ დიდებულია ოთხმოცს მიტანებული კაცისაგან ამისი მოსმენა? ნუთუ ერთი, პატარა, სულ პანანკინტე-

ლა ხინჯიც არ ჩარჩა გულის სიღრმეში? არა, არ დარჩენია. არ დარჩენია, რადგან ყოველთვის „იქ ჩერდებოდნენ, რომლის იქითაც ერთი ნაბიჯის გადადგმაც არ შეიძლებოდა“.

ამან შემოუნახათ ის პირველი და განუმეორებელი სიყვარული!

ეთერ რუხაძემ იანეთის სკოლის დამთავრების შემდეგ ხუთეზზე გაასრულა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. იქვე პედაგოგად მუშაობდა. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, გამოაქვეყნა ათობით სამეცნიერო ნაშრომი, გაზარდა შვილები და ყველაფერი გაიღო, რომ ისინიც საზოგადოების ღირსეული წევრები ყოფილიყვნენ.

საიდან, ვისგან შეისისხლხორცა მან ეს ფასდაუდებელი თვისებები? რა თქმა უნდა, ოჯახიდან, რომლის თავკაცი ერთი ალალი, ბალღვით გულჩვილი, სიმღერის ტრფიალი მოსე რუხაძე გახლდათ. ხოლო დედა, ჯიგთუბნელი ეთერ გოგიშვილი იყო ოჯახის მანათობელი შუქურაც და ქმრის კაცობის გვირგვინიც. დიდმა ომმა შეინირა მათი ორი ვაჟკაცი და მთელი მშობლიური სიყვარული ერთადერთ ქალიშვილზე გადაიტანეს. ქალიშვილის გულში სწორედ იმ წმინდა ცრემლებმაც აღზარდეს ადამიანობის მარადუჭკნობი ყვავილი.

ასე მოდიან გამოცანებით სავსე ამ ცხოვრების გზაზე ეთერ რუხაძე და ბიძინა გეგეშიძე. სიკეთემ მათ ოჯახს უშურველად დააბერტყა თავისი მადლიანი კალთა. გარს ახვევიათ შვილებისა და შვილიშვილების სითბო და სიყვარული. და თუმცა წლებმა თან წაიღეს ახალგაზრდობის ენერგია და შემართება, ვერაფერი დააკლეს ცხოვრების მაჯაგანში გამოტარებულ გულს.

— ამიტომ უნდა ვუთხრა ჩვენს მომავლებს: ნუ გაგაბრიყვებთ დროებითი ზიზილ-პიპილოები, ნუ აყვებ-

ბიძინა გეგეშიძე

ით მიეთმოეთა ფეხის ხმას — საკუთარ გულს მიენდეთ!
უერ თგულეთ იმ ფასეულობებს, რომლებიც უფროსმა
თაო- ბებმა წინაპრებისაგან მივიღეთ, გავამრავლეთ და
თქვენ გადმოგეცით რათა ახლა თქვენ უწილადოთ თქვენ
შვი- ლებს. უამისოდ სიცოცხლე ჩალის ფასი იქნება.

აი, ეს მითხრა და გამანდო ჩემმა უფროსმა მეგო-
ბარმა. ვფიქრობ ბევრისთვის იქნება სამაგალითოც და
ჭკუის საკითხავიც...

ელგუჯა ლებანიძე

სურათზე: ეთერ რუხაძე შვილებთან და შვილიშვი-
ლებთან.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 27 დეკემბერი,
2005 წ.



სურათი: ეთერი შვილებთან მამუკა და რუსოსთან
ერთად იანეთიდან მელაურში მიმავალ გზაზე.

ნიგნიდან „დრო“ 1970 წ.



სურათი: ეთერ რუხაძე, ბიძინა გეგეშიძე, პატარა
მამუკა და ოთარ ზარდალიშვილი მეუღლით მცხეთაში,
მეგობრის შალვა ცინცაძის პჯახში.

1960 2. ნიგნიდან „დრო“.



ეთერ რუხაძე — „სახის ძვლების მოტეხილობის სა-
კითხისათვის“.

გამომცემლობა — „მედიცინა“. 1970 წ.



ტელეგრამა: ეთერ რუხაძეს, ბიძინა გეგეშიძეს, გი-
ლოცავთ ვაჟიშვილის შეძენას. ლილი და ჟანი ნიკურა-
ძეები. 1955 წ. დეკემბერი.

სურათი: ეთერ რუხაძე, ბიძინა გეგეშიძე 1954 წ.

ამონარიდი: „მართლაც უჩვეულო წიგნიდან“
ბიძინა გეგეშიძე 28 ლარიან პენსიაზეა და უვლის
ავადმყოფ მეუღლეს, რომელიც მთელი ცხოვრების მან-
ძილზე არ აკლებდა სითბოს და მზრუნველობას.

ელგუჯა ლებანიძე

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 15 მაისი. 2005 წ.

„საკუთარ გულს მიენდეთ“

(ნარკვევი — ეთერ რუხაძე და მისი ოჯახი)

სურათი: ეთერი შვილებთან და შვილიშვილებთან.

ელგუჯა ლებანიძე

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2005 წ. 27 დე-
კემბერი.

სურათი: უძვირფასესი ბიცოლა ნინო ხუჭუა-გეგე-
შიძე, ეფერება ეთერის და ბიძინას გოგონას — რუსუდან
გეგეშიძეს.

სურათი: ეთერი და ბიძინა შვილებთან ერთად
სტუმრად ნინო ბიცოლასთან.

სურათი: ოდესა, 1967 წ. ეთერ რუხაძე და ბიძინა გე-
გეშიძე თბომავალ „შოთა რუსთაველზე“.

✘ ✘ ✘

სურათი: ეთერ რუხაძე, ვლადიმერ (ვოვა) ტაბიძეს-თან. 2005 წ.

✘ ✘ ✘

სურათი: ეთერ რუხაძე მზია თაქთაქშვილთან. 2005 წ.

ეთერ რუხაძე-გეგეშიძე

შარშან 30 ნოემბერს, ეთერ რუხაძე სააქაოს განერიდა. ოჯახი, მეგობრები, კოლეგები და, ვინც ჭეშმარიტი სიყვარულის ფასი იცის, ყველა ტკბილად იგონებს მას. გამომცემლობა „უნივერსალმა“ დასტამბა წიგნი — „რაილა დარჩა წარსულის დიდის“, ხოლო „იოტამ“ — „უსაზღვრო სევდა“. მათში ვრცლად არის გაშუქებული მრავალი თაობის კეთილგონიერი აღმზრდელის, საქართველოს დამსახურებული ექიმ-სტომატოლოგის მიერ სამედიცინო ინსტიტუტში რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში განეული ღვაწლი და ამაგი.

კრებული იწყება ქალბატონ ეთერისადმი მიძღვნილი რექვიემით და მთავრდება რუხაძეების, გეგეშიძეების, მოქიების, განუმეორებელი ფოტოსურათებით.

აქვე, ძვირფას მკითხველს ვთავაზობ ამ წიგნიდან გადმობეჭდილ, დიდი მგოსნის ბრძნული გამონათქვამით დასათაურებულ წერილს:

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმე, განა?“

სურათი: ბორის პაიჭაძე, ბიძინა გეგეშიძე, ვალოდია ბერძენიშვილი. ცხვარიჭამია. 1967 წელი. წიგნიდან „დრო“.

❖ ❖ ❖

სურათზე: პატარა მამუკა, ანგელინა (ბაჭია), თეო გეგეშიძეები. მელაური. 1960 წ. სუფრასთან. ძველი სახლის ფონზე.

❖ ❖ ❖

სურათი: ეთერი, რუსო და მამუკა. მცხეთა. 1967 წ.

❖ ❖ ❖

სურათი: ვალერიან გეგეშიძე.
— პროფესორ ზ. შველიძის მონანიება.
გაზ. „სოფლის ცხოვრება“. 18 სექტემბერი. 1963 წელი.

❖ ❖ ❖

ბიძინა გეგეშიძე „რეპორტაჟი წარსულიდან“
ჯგუფური სურათი: ფ. მახარაძე, მ. ჩოდრიშვილი, ვ. გეგეშიძე, მ. ცხაკაია, ვ. სტურუა.
წიგნიდან: „მიხა ცხაკაია“ ავტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი სოფიო ბერიძე.
გაზ „საქართველოს რეპუბლიკა“. 5 მაისი. 1981 წ.

ბიძინა გეგეშიძე — „შევცდი, ცუდი გზა ავირჩიე
ბრძოლის...“

ჯობდა ხარს და გუთანს მოვკიდებოდი.“

სურათი: ვალერიან გეგეშიძე

გაზეთი „ახალი თაობა“. 1999 წ. 26 დეკემბერი.

ბიძინა გეგეშიძე — „გავუფრთხილდეთ ჩვენს ისტო-
რიას, წინაპრების სახელს“.

სურათი: ვალერიან გეგეშიძე

გაზ. „სამყარო“. 14-28 ივლის. 1999.

სურათი: ვალერიან გეგეშიძე სამტრედიაში, ნათ-
ლისმცემლის ეკლესიის ეზოში.

მიტინგის მონაწილეებს მეფის ხელისუფლების
დამხობის მოთხოვნით სიტყვით მიმართავს.

1916 წ.

ბიძინა გეგეშიძე — გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რე-
დაქტორს ბატონ მიხეილ დავითაშვილს.

ამ გაზეთში პროფესორ ზაქარია შველიძის მიერ
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვალერიან გე-
გეშიძის მიერ კომუჯრედის დაარსების არასწორად გა-
შუქებასთან დაკავშირებით.

29 აგვისტო, 1963 წელი.

ზაქარია შველიძე — ისტორიის მეცნიერებათა დოქ-
ტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრო-

ფესორი ზაქარია შველიძე „ანთებული გული“. (ვ. გეგეშიძის შესახებ)

გაზ. „სოფლის ცხოვრება“. 1963 წ. 10 ოქტომბერი.

✘ ✘ ✘

ოთარ იოსელიანი — „მეორე მსოფლიო ომში გერმანიის ფაშიზმზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების დღესთან დაკავშირებით მაყურებელთა შეხვედრა საბჭოთა კავშირის გმირებთან გიორგი თვაურთან, შოთა შურღაიასთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ვეტერანებთან ალექსანდრე კოკაიასთან, ლევან არზუმელაშვილთან და გიორგი ლომიძესთან.

სალამო გახსნა კინოთეატრ „რუსთაველის“ დირექტორმა, საქართველოს კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ ბიძინა გეგეშიძემ“.

გაზეთი „კომუნისტი“. 1981 წელი. 9 მაისი.

✘ ✘ ✘

ნატო ციციშვილი — სსრკ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის მიერ 1969 წლის 5 სექტემბრის დადგენილებით კინოთეატრ „საქართველოს“ დირექტორის ბიძინა ვალერიანის ძე გეგეშიძის კინემატოგრაფიის „წარჩინებული მუშაკის“ მედლით დაჯილდოების შესახებ.

გაზეთი „კომუნისტი“. 23 მაისი. 1966 წელი.

✘ ✘ ✘

არსენ ნიკლაური — შეხვედრა კინოთეატრ „საქართველოში“ კინოფილმ „რუსული სასწაულის“ მაყურებლებთან.

სალამო შესავალი სიტყვით გახსნა კინოთეატრ „საქართველოს“ დირექტორმა, საქართველოს კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ ბიძინა გეგეშიძემ“.

გაზ. „კომუნისტი“ 1966 წ. 10 მაისი.

✘ ✘ ✘

ვახტანგ გორგანელი — „შეხვედრა კინოფილმ „დი-დოსტატის მარჯვენის“ გადამღებ შემოქმედებით ჯგუფთან: დამდგმელ რეჟისორებთან ვახტანგ ტაბლიაშვილთან და დევი აბაშიძესთან, მსახიობებთან: ოთარ მეღვინეთუხუცესთან, თენგიზ არჩვაძესთან, დოდო აბაშიძესთან და კომპოზიტორ არჩილ კერესელიძესთან. ძვირფას სტუმრებს მიესალმა და ფილმის წარმატებაზე ისაუბრა კინოთეატრ „საქართველოს“ დირექტორმა კულტურის დამსახურებულმა მოღვაწემ ბიძინა გეგეშიძემ. კინოთეატრიდან ზეიმმა მცხეთაში, სვეტიცხოველთან ახლოს მდებარე „მარანში“ გადაინაცვლა.

ნატო ციციშვილი: გაზეთი „ქართული ფილმი“. 22 ნოემბერი. 1970 წელი.

✘ ✘ ✘

სერგო გვარამაძე — „საქართველოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის დადგენილება — კინოთეატრ „საქართველოს“ დირექტორის ბიძინა გეგეშიძის, დაბადების დღის — 12 სექტემბრის აღსანიშნავად საპატიო სიგელი დაჯილდოების შესახებ.

დადგენილებას ხელს აწერს კომიტეტის თავმჯდომარე აკაკი დვალიშვილი.

1967 წელი.

✘ ✘ ✘

ბიძინა გეგეშიძე — „ჭაბუკად დარჩენილი ოთხმოცი წლის პოეტი“

„მხოლოდ დროდადრო დამარეტიანოს ქაშვეთის შემოხედვამ“ — ამბობდა ლადო ასათიანი თავის შესა-

ნიშნავ ლექსში და ამით გულწრფელად გამოხატავდა გალაკტიონის თანამედროვე — ახალი თაობის — კალმის ოსტატების განწირულ სულისკვეთებას. ისინი, დღე არ გავიდოდა, არ შეხვედროდნენ ერთმანეთს რუსთაველის გამზირზე. მოშრიალე ჭადრების ხეივანში. აქ წუხდნენ და ნაღვლობდნენ სამშობლოს სვე-ბედზე. მათ სულებს აღაშფოთებდათ ქართველის მიერ ქართველის ხოცვა-ჟლეტა; მიხეილ ჯავახიშვილი, ტიცვიან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის ველური მეთოდებით განწირვა.; მწვავედ კამათობდნენ და საუბრობდნენ პოეზიის, პროზის, დრამატურგიის, თეატრის, კინოს, სახვითი ხელოვნებისა და კულტურის სხვა დარგების საკითხებზე. ხედავდნენ მოახლოებულ ქარიშხალს და თითქოს გრძნობდნენ კიდევ, რომ მალე ვეღარ იხილავდნენ მშობლიურ ზეცას.

სამწუხაროდ, უსწრაფესად ახდა მათი ეს წინასწარ-გოძნობა. დაიწყო უსაშინლესი მეორე მსოფლიო ომი. სანატრელი გაუხდათ ქაშვეთის შემოხედვა და რუსთაველის პროსპექტზე „ხეტიალი“, ჭადრების შრიალის მოსმენა და უკვდავებაზე ფიქრი.

ბევრი მათგანი ფრონტზე წავიდა და ჩაება უსამართლო, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში. ზოგი აღარ დაბრუნებულა, მათგან მხოლოდ მირზა გელოვანის სამარეა ცნობილი, სევერიან ისიანის კვალი კი, ბრიანსკის გადაბუფულ ნაძვნარში დაიკარგა. სევასტოპოლში შეწყდა გიორგი ნაფეტვარიძის გულის ძგერა, ლადო უბილავა, ვაჟიკა ფხოველი და ია ჩხეიძე ათასობით ქართველ მეომართან ერთად ქერჩის ბრძოლებს შეეწირნენ. ომის წლებშივე დაიღუპნენ ლადო ასათიანი და ალექსანდრე საჯაია.

საბედნიეროდ, ომის ქარცეცხლს გადაურჩნენ მურმან ლებანიძე, იოსებ ნონეშვილი, რევაზ მრგიანი, ვახტანგ გორგანელი, თეიმურაზ ჯანგულაშვილი და ლადო სულაბერიძე. თავის სახლ-კარს დაუბრუნდა აგრეთვე სახელოვანი მებრძოლი და ნიჭიერი პოეტი ვასო ლორთქიფანიძე. იგი თავის ერთ-ერთ ლექსში წერს:

„შუალამემ გადაიარა, აჰა, ეს ჩემი ქუდბედიც,
ბრძოლაში მტერთან შეყრილი, გადარჩენილი
ვბრუნდები“.

მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ამ სტრიქონების ავტორი კარგა ხანს ერიდებოდა საჯაროდ გამოსვლებს. ჟურნალ-გაზეთების, რედაქციებში გამოჩენას, იგი თანამოკალმეებსაც კი არ უკითხავდა თავის ქმნილებას, რალაც აფერხებდა, რალაც ბორკავდა.

თუმცა, კარდაკარ ღამენათევი პოეტი ლიტერატურულ ცხოვრებას მაინც არ განრიდებია. მტკივნეული იარების დასაამებლად ჩუმად განაგრძობს მარგალიტით ღამაზი და ნათელი სტრიქონების ძერწვას. ლოცვა-სავით ისმის ფრაზები ლექსიდან — „ყოველი წუთი სათქმელს მიჩქარის“.

როცა ამ და სხვა ბოლოდროინდელ ლექსებს „თავისუფლება ჩემს შვილს როსტომს“, „იქ უნდა ვიდგე“, „შენ, ჩემო დედავ“, „ჩემი ძუძუმტე“, „შენ, ბერიკაცო, მითხარი რამე“ — ვეცნობით, რჩება შთაბეჭდილება თითქოს ვასო ლორთქიფანიძემ თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე სათუთად შემოინახა დიდი ენერჯია, რათა ხანდაზმულობაშიც არ შენელებოდა სამშობლოს საკეთილდღეოდ სათქმელი სიტყვა. — „ნამერთვას მაშინ ხედვა და სმენა, მტერმა რომ გულზე გადამიაროს.“

სამშობლოზე, წინაპრებზე, სიყვარულზე, მეგობრობაზე, ერთგულებაზე, კარგ ქალობასა და კარგ კა-

ცობაზე ვასო ლორთქიფანიძის მიერ დაწერილი ლექსების კრებული დასტამბა არცთუ ისე დიდი ხნის წინ გამომცემლობა „მერანმა“.

სამწუხაროდ, წიგნში ადგილი ვერ პოვა უნიკალურ-მა ფოტოსურათმა, რომელზეც ვასო ლორთქიფანიძესთან ერთად გამოსახულნი არიან 30-იანი წლების ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწენი.

სურათს აქვე ვთავაზობთ გაზეთის ძვირფას მკითხველს (მარჯვნიდან მარცხნივ) ნვანან: ლადო ასათიანი და მირზა გელოვანი, სხედან: დიმიტრი ბენაშვილი, ნიკა აგიაშვილი, გიორგი კალანდაძე, ერემია ქარელიშვილი, გრიგოლ აბაშიძე: დგანან: გივი კაჭახიძე, რევაზ მარგიანი, ალექო შენგელაია, ალექსანდრე საჯაია, ლევან კიკნაძე, ლადო ავალიანი, ვასო ლორთქიფანიძე, გაბრიელ ჯაბუშანიური. 1939 წელი

ბიძინა გეგეშიძე

„ახალი თაობა“, 29 ნოემბერი, 1998წ.



ბიძინა გეგეშიძეს ჩემს უკეთილშობილეს ძმას

ეგ ჩემი სიტყვა სტრიქონს შევადნე,
განა უგულო, ნაძალადევი,
შორსა ხარ ძმაო, მიჭირს შენამდე,
სად მთაწმინდა და... „ნაძალადევი“.
თავი გადავდე მაინც მოგძებნე,
მონატრებულმა, მოვედ, გიხილე,
სული და გული გადამიშალე
სუფრასთან დამსვი და მომალხინე.
წავედ და გამყვა სითბო ძმობისა,
თან ამედევნა შრიალი ხეთა,
მთაწმინდის მაღალ სანახებიდან

ნაძალადევეში შენ ბინას ვხედავ.
ისე ახლო ხარ ამ შორ სივრცეში,
აღარ მჭირდება მოსვლა და ძებნა,
ვით ავგაროზის ფრთების გაშლაში,
თავშესაფარი მოვნახეთ ძმებმა.
საცაა თითქოს ხმასაც მოგანვდენ,
მოვიდე, შეგხვდე, მოგესალამო,
სამშობლო ბედზე დაფიქრებულებს
შუქრდილს დაგვიფენს დილა-სალამო
არ გეკითხები, ნებას არ ვითხოვ,
ჩემი სახლიდან სულ ახლო ვითომ
შენ ვრცელ დარბაზში ანთებულ ბუხარს
მივეფიცხები და ხელებს ვითბობ.
რაც დარდი მქონდა, რაც მანუხებდა,
ვით ლოდს გულიდან ვიცლი, ვიშორებ,
როს სულთა კავშირს ფრთები ესხმება
ვინ გაიგონა ჩვენი სიშორე...

ვახო ლორთქიფანიძე

18 ნოემბერი, 1998 წელი, თბილისი
ნიგნიდან „დრო“

✱ ✱ ✱

ბიძინა გეგეშიძე — „მოგაჯალოეხელი ჰან- ბი და სიტყვა დაგვიტოვეს“

გახსოვთ, გალაკტიონის ლექსი: — „არსად ასე არ
მღერიან, როგორც აქ, ამ ქვეყანაში...“ „სულიკოს“ კი
სად არ მღერიან, ღვთაებრივმა მელოდიამ დიდი ხანი
გადალახა სამშობლოს საზღვრები და მრავალი უცხოე-
ლი მსმენელის გულში დაიდო ბინა, მღერიან ფრანგები,

რუსები, გერმანელები, უკრაინელები, ბალტიისპირელები, ინგლისელები, ამერიკელები, ჩინელები, ჰოლანდიელები... „ხდება ცხოვრებაში გასაოცარი ამბავი, — წერდა გალაკტიონ ტაბიძე, — 1935 წელს პარიზში ფრანგების ორკესტრი უკრავდასულიკოს. ბევრი მუსიკა მომისმენია ქვეყნად, მაგრამ ასეთი ჰანგები არასოდეს...“

როგორც ცნობილია, „სულიკო“ ძნელბედობის ჟამს — ფაშისტებთან ბრძოლის წლებში — ჰიმნად ჰქონდა ბულგარელ ხალხს, ხოლო 1984 წლის 11 ოქტომბერს გერმანიის ტელევიზიით სიმღერა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანამ მოისმინა საარის ოლქის ანსამბლის შესრულებით. ბევრმა როდი იცის, რომ ამ განუმეორებელი სიმღერის ავტორი ვარინკა (ბარბარე) მაჭავარიანია... სამწუხაროდ, სხვების „მკურნალი“, ულამაზესი სულისა და მომხიბვლელი აღნაგობის მქონე, სათნო ხასიათისა და მუდამ სიკეთის მთესველი ქალბატონი სოფელმა ბოლომდე არ გაახარა. სრულიად ახალგაზრდას დაეღუპა მეუღლე, შემდეგ ერთადერთი, 26 წლის ვაჟიც გარდაეცვალა. თავსდატეხილმა უბედურებამ იგი გატეხა და ლოგინს მიჯაჭვული 1948 წლის 21 მარტს გულამოს-კვნილი ტირილით გასცილდა სათაყვანებელ სამშოლოს. სრულიად საქართველოს მოწინავე საზოგადოებამ ვარინკა წერეთლის ნეშტი დიდი პატივით მიაბარა ზემო იმერეთის ულამაზესი სოფლის ცხრანყაროს მინას. მის საფლავს დიდხანს ამშვენებდა აკაკი წერეთლის ლექსი: „ჩემს საყვარელ ბულბულს — სულიკო-ვარინკას! აკაკისაგან“

ვარინკა წერეთელი თავის მოგონებაში აღნიშნავს: „ბავშვობიდანვე მიყვარდა ხელოვნება, განსაკუთრებით მისი მომხიბვლელი დარგი — სიმღერა. მეც გვარიანად ვმღეროდი. მოსწონდათ ჩემი სიმღერა და მამხნევენებდნენ, განსაკუთრებით მამხნევენებდა აკაკი, რომელ-

საც, როგორც თვითონ იტყოდა, ჩემი სიმღერა ყველაზე უფრო ტკბილად ესაღბუნებოდა... „მუსიკას უფრო დაეჯერება, ვინემ სიტყვებსაო“, — მეტყოდა ხოლმე პოეტი და მეც უფრო ხშირად მის ლექსებს ვმღეროდი.“ გადმოცემით, განსაკუთრებით კარგად ამღერებდა თურმე ვარინკა გიტარაზე აკაკის ლექსებს — „სანამ ვიყავ ახალგაზრდა“ და „მუხამბაზს“, რომელთა მუსიკა თვით ვარინკა ნერეთცელს ეკუთვნოდა. სამწუხაროდ, „სულიკოს“ ბედი ენია ამ სიმღერებსაც. ასე იყო ადრე, ასეა დღესაც. იშვიათად ცხადდება ფართო საზოგადოების წინაშე ვარინკა მაჭავარიანის სახელი, როგორც მუსიკის ავტორისა.

ხდება პირიქითაც.

ვის არ სმენია საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში აჟღერებული, იშვიათი მელოდიურობით შემკობილი „გულს რად მიკლავ, გენაცვალე“ ასევე ყველასათვის ცნობილია ამ სიმღერის შემოქმედი, დიდი ქართველი კომპოზიტორი, რევაზ ლალიძე, მაგრამ საზოგადოების დიდმა ნაწილმა არც კი იცის, რომ ამ მუსიკის მარგალიტით ლამაზი სტრიქონების „გოგოვ, გოგოვ მე შენს მეტი ჯერ არავინ მყვარებია, სიყვარული შენ ჩემს გულში ხანჯლად გაგიტარებია“-ს ავტორი არის მარჯანიშვილის თეატრის ცნობილი მსახიობი — არმანის (დიუმა — მარგარიტა გოტიე), ონისეს (ყაზბეგი — „მოდღვარი“, „ანტონიუსის“ (შექსპირი — ანტონიუსი და კლეოპატრა) ჩონთას (ვაჟა ფშაველა — „მოკვეთილი“), ურიელის (გუცკოვი — „ურიელ აკოსტა“) და სხვა მრავალიროლის ბრწყინვალე შემსრულებელი პიერ კობახიძე.

პიერ კობახიძე ჭეშმარიტად გამორჩეული შემოქმედი ბრძანებოდა. იგი კეთილშობილებისა და თავაზიანობის მაგალითი იყო. მას პოეტური სამყაროც ჰქონდა. მისი ლექსები უმეტესად იუმორით იყო შეზავებული. სამ-

წუხაროდ, 1967 წელს პიერ კობახიძის სიცოცხლე ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა, მისი ლექსი კი რევანზ ლალიძის სიმღერასთან ერთად მარად უკვდავია.

„ახალი თაობა“, 12 ივნისი, 1999.

ბიძინა გეგეშიძე

❖ ❖ ❖

5 ნოემბერი, 2000 წელი.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ რუბრიკით:

„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 5 ნოემბერი, 2000 წელი.

„იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ მელაურში, ვალერიან გეგეშიძის კარმიდამოში 1905 წლის მაისში გაიმართა არალეგალური კონფერენცია, რომლის დელეგატთა სახეები შემოგვინახა წინამდებარე ფოტოსურათმა. მათ შორის არის ჭაბუკი კობა — შემდგომში — იოსებ სტალინი (დგას ზემოდან პირველ რიგში, მარცხნიდან მეოთხე, ხელი აქვს დადებული მასპინძლის, ვალერიან გეგეშიძის მხარზე).

ფოტო მოგვანოდა ბიძინა გეგეშიძემ.

❖ ❖ ❖

სურათი: მასზე გამოსახული არიან: ვალერიან გეგეშიძის ბრინჯაოს ბიუსტისა და სამტრედიის ქალაქის ცენტრში აღმართული მემორიალში ჩასმული ბარელიეფის ავტორი შალვა ზაუტაშვილი და მისი აღმზრდელი, დიდი ქართველი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე.

2005 წელი, 23 აგვისტო.

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“

მინანერი: დღეს არც ბიუსტი და არც მემორილი აღარ არსებობს... მოიპარეს...

ჩვენს ქვეყანაში, ამ ბოლო წლებში ბარბაროსების მიერ მიცვალებულთა საფლავებიდან და საქართველოს თვალსაჩინო ადგილებში ღისრეული მამულშვილების უკვდავსაყოფად შექმნილ-აგებული ძეგლების მიტაცება, ხელისუფლების მიერ ნებადართულ ოფიციალურ მიმღებ პუნქტებში მათი ჯართად ჩაბარება, გადადნობა და მერე თურქეთში გაზიდვის ეს უსინდისობის გამომხატველი საშინელი ტრადიცია დღესაც გრძელდება.

ბიძინა გეგეშიძე. 2008 წ. 10 ივლისი.

✘ ✘ ✘

ბიძინა გეგეშიძე — „სახელოვანი თანამეგობრული“

ოთხმოცდაშვიდი წლის წინათ პირველად გაისმა თბილისის მთავარი სახელოსნოების საყვირის ხმა, მან ძილი დაუფრთხო მჩაგვრელ საზოგადოებას და ქვეყანას მათი მესაფლავის — პროლეტარიატის დბადება აუწყა.

შრომის მძიმე პირობები, შიმშილი. უბინაობა, ქუჩაში ღამის თევზა — აი ყოველივე ის, რამაც გამოაღვიძა და აღანთო მუშათა კლასი მეფისა და მისი ნაძირალების დასამხობად.

სახელოსნოს მუშები, ხელისუფლების წინააღმდეგობის მიუხედავად, უკაცრიელ ადგილებში აშენებენ ქოხმახებს, უბანი სწრაფად იზრდება, მალე მას, ნაძალადევად გამენებულს, „ნაძალადევი ეწოდა. დღეს ძველი ნაძალადევიდან კვალიც აღარ დარჩენილა. იგი ჩვე-

ნი რესპუბლიკის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრია.

რაიონი მდიდარია თავისი რევოლუციური წარსულით. თავისუფლებისათვის ბრძოლის გარიჟრაჟზე მედგრად გაისმოდა „ნაძალადეველი“ არწივების ყვირილი.

დღეს კეთილი ადამიანები სასოებით იგონებენ გარდასული ბრძოლის ეპიზოდებს, რევოლუციისათვის თავდადებულ რაინდებს. სწორედ. მათზე მოუთხრობს მნახველს ოქტომბრის ქუჩის დასაწყისში, ნაძვების ხეივანში, მონყობილი საიუბილეო გამოფენა. აქ ყველა გამვლელი ჩერდება. აკვირდება ნაცნობ სახეებს. კვლავ ინტერესით კითხულობს მგზნებარე კოლხიდელის სიტყვებს: „მაგონდება პირველად როგორ ჩავიბარე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე, როგორ მივიღე პრაქტიკული მუშაობის პირველი გაკვეთილები ამხ. სტურუას ბინაზე. „საქართველოს ბუნებამ, მისი ხალხის რომანტიკამ, მე მანანნალა ლიტერატორად მაქცია“, — ამბობდა მაქსიმ გორკი და მხედველობაში ჰქონდა რკინიგზის ყოფილი მთავარი სახელოსნო, სადაც იგი ვაგონების მღებავად მუშაობდა. აქვე მუშაობდა ზეინკლად მიხეილ კალინინიც. მისი დაზგა იმ ბობოქარ დღეთა მემატყანე დღესაც დგას როგორც ძვირფასი რელიქვია. ისე რომ, მოსაგონარი, საამაყო ბევრი აქვთ ლენინის რაიონის მშრომელებს და განა მარტო მათ. ეამაყებათ სამტრედიის რაიონის მშრომელებსაც. აქ ხომ რევოლუციური წრთობა მიიღო, ბრძოლისა და შრომის სახელოვანი გზა განვლო ბევრმა სამტრედიელმა. და დღეს გულს უხარია, როცა გამოფენის მონაწილეთა — ი.ბ. სტალინის, მ. გორკის, მ. კალინინის გვერდით ვხედავთ გამოჩენილ ადამიანებს, ჩვენი რაიონის საამაყო

შვილებს ვანო სტურუას, გიორგი თელიას და ვალიკო გეგეშიძეს.

ბიძინა გეგეშიძე

გაზეთი — „თბილისი“ 1971 წელი. 6 ნოემბერი.



სტალინის დაკრძალვისას მასთან დაახლოებულ გენერალს მისთვის ქუსლებდაკერებული ფეხსაცმელის შეცვლა სთხოვეს

„მას სხვა არ ჰქონდა“ — უპასუხა გენერალმა და ატირდა

ვერავინ იფიქრებდა წმინდა ილია მართლის მიერ 1895 წლის 14 ივნისს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ-ლი მარგალიტივით ბრწყინვალე ლექსის „აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე ივერთ მხარეოს“ დამწერი ორმოცი წლის შემდეგ სტალინად გარდაქმნილი სოსო ჯულაშვილი მსოფლიოს ბეჭებზე დადებდა, გახდებოდა დედამიწის ერთი მეექვსედის მბრძანებელი. ასე რომ, ქართლის გულში დარწეული აკვანი ვერც ავდარმა და ვერც ციმბირმა ჩაკეტა. პლანეტის ხუთივე კონტინენტზე მოფენილია მისი ნაშრომები, ხოლო მასზე, როგორც სახელმწიფო, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწის შესახებ გამოცემულ ლიტერატურას ვერც ძველი ალექსანდრიის კოლოსალური ბიბლიოთეკა დაიტევდა და ვერც დღევანდელი მარაკანას სტადიონი. ეს ხვედრი კაცობრიობის ისტორიას შემორჩენილ გიგანტებს შორის განგებამ მხოლოდ სტალინს არგუნა. მის სახელს მტერი თუ მოყვარე, ყველა ერთნაირად აღმერთებს. გავიხსენოთ ზოგიერთი გამონათქვამები:

„სტალინმა რუსეთი ფერფლიდან წამოაყენა, აქცია დიდ ქვეყანად, გაანადგურა ჰიტლერი, იხსნა რუსეთი და კცობრიობა“ — კერენსკი.

❖ ❖ ❖

„არ შეიძლება გაბაიბურება და დაკნინება სტალინის საქმიანობის, ჯერ ერთი, ეს უპატიოსნობაა, მეორეც — მავნეა ქვეყნისათვის, ადამიანებისთვის და არა მარტო იმიტომ, რომ გამარჯვებულთ მსჯავრს არ სდებენ, არამედ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ „დამხობა“ სტალინისა ჭეშმარიტებას არ შეეფერება“.

მიხეილ შოლოხოვი.

ნობელის პრემიის ლაურიატი.

❖ ❖ ❖

„რუსეთი უნდა დაიპყრო, საფუძვლიანად განმინდო და სათავეში ისევ სტალინი ჩაუყენო. სხვა ვერავინ მოერევა ამ ქვეყანას. ჰიტლერი.

❖ ❖ ❖

„როცა მზადდებოდა ი.ბ. სტალინის დაკრძალვა, მასთან დაახლოებულ გენერალს პირადი დაცვიდან სთხოვეს შეეცვალა ქუსლებდაკერებული ფეხსაცმელები — „მას სხვა არ ჰქონდა“, უპასუხა გენერალმა და ატირდა. დიდ ბელადს, რომლის წინაშეც მუხლს იყრიდა და თრთოდა მთელი მსოფლიო, სიკვდილის შემდეგ აღმოაჩნდა ძველი, ჯერ კიდევ რევოლუციისდროინდელი ბენვის ქურქი, ორი მხედრული ქუდი, ორი სამხედრო კოსტუმი (ერთი მათგანი სტალინს ეცვა კუბოში). ფარაჯა და რამდენიმე ქათქათა პერანგი. ჟუხრაი.



ეს შეფასებები არაფერია იმასთან შედარებით, რაც თქვეს მეოცე საუკუნის საკაცობრიო მასშტაბის მოღვაწეებმა: ლუი არაგონმა, პაბლო ნერუდამ, გო მოჟომ, ანრი ბარბიუსმა, გალაკტიონ ტაბიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, გიორგი ლეონიძემ, ირაკლი აბაშიძემ, ინსტონ ჩერჩილმა, ფრანკლინ რუზველტმა, დე გოლმა, გიორგი გოლოვანოვმა და სხვებმა.

ამდენად, ძნელია, ძალზე ძნელი, სიცოცხლეშივე უკვდავებას ნაზიარებ და სიკვდილის შემდეგაც ტიტანად აღიარებულ ადამიანზე დაწერილ ზღვა მასალას კაცმა კიდევ რამე შემატოს, მაგრამ ამ ტიალ ქვეყანაზე მოულოდნელობებს რა გამოლევს. ვინ წარმოიდგენდა, რომ იმერეთის კოპნია და მართლაც მტრედივით ლამაზ მელაურში (სამტრედიაში) სოსო ჯულაშვილს თავისი იდეების დასამკვიდრებლად ორჯერ მოუხდებოდა ყოფნა.

ამ ფაქტის შესახებ 1927 წლის ჟურნალ „რევოლუციის მატინანეში“ (ნომერი 1) გამოქვეყნებულ თავის მე-მუარებში ვალერიან გეგეშიძე იგონებს: „1902 წლის მარტის დასაწყისში სტალინი მთელი დღე დარჩა სამტრედიაში, დეტალურად გაეცნო არსებულ მდგომარეობას, დასახა გეგმა რაიონის მასშტაბით ს.დ. ორგანიზაციის დასაარსებლად. ამავე დღეს, გვიან ღამით სტალინი ბათუმში დაბრუნდა.

მეორედ სტალინი სამტრედიას 1905 წლის მაისში ეწვია. ამ ვიზიტის შესახებ თავის მოგონებებში გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, მწერალი რაჟდენ კალაძე (პოეტ კარლო კალაძის მამა) იუწყება „1905 წლის მაისში სამტრედიის სოფელ მელაურში, ვალერიან გეგეშიძის ოჯახში, ტყესთან ახლოს ჩტარდა დასავლეთ საქართველოს ს.დ. ორგანიზაციების კონფერენცია. მისი

მონვევის ინიციატივა მთლიანად ეკუთვნოდა ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტს, რომელსაც ი. სტალინი ხელმძღვანელობდა. დილით დაწყებული კონფერენცია მთელ ღამეს გაგრძელდა, ესწრებოდა 150-მდე დელეგატი, მოხსენება სტალინმა გააკეთა“.

ღისრეული მამულიშვილის — ვალერიან გეგეშიძის — საოჯახო არქივში ამ და სხვა საინტერესო ქრონიკებთან ერთად აღმოჩნდა აგრეთვე დღემდე გაუხმაურებელი უნიკალური ფოტო, რომელსაც მოკრძალებით ვთავაზობთ გაზეთ „ახალი თაობის“ ძვირფას მკითხველს.

ოცდახუთი წლის იოსებ ჯუღაშვილთან (დგას ზემოდან პირველ რიგში, მარცხნიდან მეთოხე, ხელი აქვს დადებული მასპინძლის, ვალერიან გეგეშიძის მხარზე) ერთად სურათზე გამოსახული არიან სამტრედიელი მებრძოლებიც ესენი გახლავთ: დარისპან ხუჭუა (ზედა რიგი, მარცხნიდან მეექვსე) პავლე ბალანჩივაძე (რიგი მესამე, მარცხნიდან მეხუთე დგას), ნესტორ კეჭაყმაძე (რიგი მეოთხე, მარცხნიდან მეოთხე ზის), ილია ოქროპირის ძე კოპალეიშვილი (რიგი მეორე, მარცხნიდან მეოთხე ზის), ანტონ სტურუა (რიგი მეორე, მარჯვნიდან მეორე, ზის) გიორგი კაკაბაძე (რიგი პირველი, მარცხნიდან მეხუთე, ზის) ირაკლი ივანეს ძე კოპალეიშვილი (რიგი პირველი, მარჯვნიდან მეორე, ზის), პროკოფი დოლიძე (რიგში მესამე, მარცხნიდან მეშვიდე დგას).

ბიძინა გეგეშიძე

„ახალი თაობა“, 1998, 18 ოქტომბერი

„სამშობლო სიკვდილი არი...“

ბაზ. „თბილისი“. 30 სექტემბერი, 1992 წ.

ზიძინა ბებუაძე — „სამშობლო სიკვდილი არი...“

არსებობენ პოეზიის მარგალიტები, ხალხს მათი ავტორის სახელის შეხსენება რომ არ სჭირდება, ისეც ხდება — საქმე გვაქვს ხოლმე ფსევდო ავტორებთან, ასეთი ბედის შეიქნა ლექსი „მგოსანი“, რომელიც თავისი მხატვრული და პატრიოტული ჟღერადობით ძალზე პოპულარულია სრულიად საქართველოში.

ხალხმა იგი ზეპირად იცის, მაგრამ არ იცის ლექსის ნამდვილი დამწერი, უმეტესობა მის ავტორად ასახელებს 1918-1921 წლებში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას. ამტკიცებენ, თითქოს ლევილში ჟორდანიასვე საფლავის ქვაზე ეპიტაფიად ამოკვეთილი იყო „მგოსნის“ შემდეგი სტრიქონები:

„ვარ ჩემი ქვეყნის გულდამწვარი ქირისუფალი
ერის ბრწყინვალე მომავალით მსურს გავიხარო,
თუ საქართველო არ იქნება თავისუფალი,
დე, მტრად ქცეული დამენახოს მთელი სამყარო“.

მაგრამ ეს სიტყვები არც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ეკუთვნის და არც მისი საფლავის ქვაზეა ამოკვეთილი.

სინამდვილეში ლექსის ავტორია სამშობლოს მონყვეტილი, უცხოეთში ლტოლვილი პოეტი, ქართველ ემიგრანტთა თვალსაჩინო წარმომადგენელი სიმონ (სიმონიკა) ბერეჟიანი.

იგი დაიბადა 1898 წელს, გურიის სოფელ ახალშენში, პირველდანიეებითი და საშუალო განათლება სამშობლოში მიიღო, უმაღლესი განათლების მისაღებად კი და-

მოუკედებელმა საქართველომ 1920 წელს ევროპაში გაგზავნა, მაგრამ 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის ვერაგულმა და სამხედრო ოკუპაციამ ჩვენს სამშობლოს წაართვა თავისუფლება და ს. ბერეჟიანსაც დაუხშო დასაბრუნებელი გზა. სამი წელი გერმანიაში დაჰყო, სწორედ აქ, ბერლინში გამოიცა პირველად მისი ლექსები.

1923 წლიდან გერმანია დატოვა და საფრანგეთში გადასახლდა. მიუხედავად დუხჭირი პირობებისა, ის პარიზში განაგრძობდა მოღვაწეობას — წერდა ლექსებს, მოთხრობებს, ნარკვევებს, ხატავდა კარიკატურებს.

1937 წელს ს. ბერეჟიანის ლექსების ბეჭდვა გაგრძელდა ვიქტორ ნოზაძის მიერ ახლად დაარსებულ ჟურნალ „ქართლოსში“.

1943 წელს ბერლინში გამოცემულ სიმონიკა ბერეჟიანის ნაწერების ვრცელ წინასიტყვაობაში, მსოფლიოში სახელგანთქმული დიდი მეცნიერი ვიქტორ ნოზაძე სიმონიკა ბერეჟიანის შემოქმედებას დიდ შეფასებას აძლევს და მას „სამშობლოს თავდადებულ მიჯნურს“ უწოდებს.

1924 წლის 24 ოქტომბერს პარიზში შეიქმნა ქართველი პატრიოტების ახალგაზრდული ორგანიზაცია „თეთრი გიორგის“ სახელწოდებით. ს. ბერეჟიანი ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი აქტიური წევრი გახდა. 1926 წელს პარიზში გამოვიდა ამ ორგანიზაციის გაზეთი „თეთრი გიორგი“, რომლის ფურცლებზე დაიბეჭდა ს. ბერეჟიანის — „ალექსანდრე ბატონიშვილი“, „ქაქუცა ჩოლოყაშვილი“ და სხვა ლექსები.

ამავე ჟურნალში ს. ბერეჟიანმა დიდი ილიას ვერაგულად მოკვლის 20 წლისთავზე გამოაქვეყნა წერილი — ეს სე „ილია ჭავჭავაძე“.

სიმონიკა ბერეჟიანის მიერ განვლილ ცხოვრებას წარმოგვიდგენს, ემიგრანტი პოეტი გიორგი ყიფიანი:

„ისე გიმსხვერპლა სანუთრომ,
დრო ვერ იხილე მზიანი,
სიკვდილს სამშობლო არა აქვს,
სამშობლო სიკვდილი არი...“

სიმონიკა ბერეჟიანმა ვერ იხილა მზიანი, თავისუფალი სამშობლო, მაგრამ საოცარია მისი მონოდება — ანდერძი 54 წლის შემდეგ, ასე გულმხურვალედ რომ ეჭირისუფლება დღევანდელ თავისუფალ საქართველოს, მის გადასარჩენად შემართულ ლომგულა ბიჭებს:

„თუ გამარჯვება არ არსებობს სისხლის გარეშე,
მხოლოდ სისხლისთვის გიხმობთ ჩემი ბუკი-ნაღარა,
რა,

ისე არ ჩავალ, ცით მოსული, ბნელ სამარეში,
თუ არ შევლებე მტრების
სისხლით ჩემი ჭაღარა...“

ამ სულით აზვირთებული სიმონიკა ბერეჟიანი 1943 წელს უდროოდ გასცილდა მუხანათ წუთისოფელს.

ბიძინა გეგეშიძე

✱ ✱ ✱

რუსლან რუსია

ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორი

ბატონ ბიძინა გეგეშიძეს

„შეცდომა, რომელიც ჩვენი გაზეთის 7 აგვისტოს ნომრის პუბლიკაციაშია დაშვებული და რომლის შესახებაც თქვენ მოგწერეთ, ჩვენივე გაზეთის 16 აგვისტოს ნომერში გასწორდა. ლექსი — „ვარ ჩემი ქვეყნის გულდამნვარი ჭირისუფალი“, ნამდვილად ეკუთვნის სიმონიკა ბერეჟიანს და არა ნოე ჟორდანიას“.

❖ ❖ ❖

**ბიძინა გვგუშიძე — „აი სახელი ქართლის მინაზა...“
(საბჭოთა კავშირის გმირი არკადი გვგუშიძე)**

სურათი: ავტოგრაფით „სახსოვრად ბიძინა ვალი-
კოს ძე გეგეშიძეს
არკადი სპირიდონის ძე გეგეშიძისაგან.
1946 წელი, 9 მაისი“

ნარკვევი დაიბეჭდა გაზეთ „წინსვლაში“
1982 წლის 20 თებერვალს

❖ ❖ ❖

ბიძინა გეგეშიძე:

ვალერიან გეგეშიძემ თანასოფლელის, უღარიბესი
გლეხის, სპირდონ გეგეშიძის ცხრა შვილიდან, მასზე
რვა წლით უმცროსი არკადი გეგეშიძე თბილისში ჩაი-
ყვანა, მერე მანგლისის სამხედრო სასწავლებელში
მიაბარა. სწავლასმონწყურებული, სიბეჯითით გამორ-
ჩეული და გონიერი ჭაბუკი სასწავლებლის წარჩინებით
დამთავრების შემდეგ ლეიტენანტის ჩინით ბელორუ-
სიის ერთ-ერთ არმიაში განაწესეს. სწორედ აქ მოუსწრო
არკადის დიდმა მეორე მსოფლიო ომმა. მრავალი სას-
ტიკი ბრძოლების შემდეგ დაჭრილი მეომარი ფრონტი-
დან მოსკოვის სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს... აქ
ენვია მას დიდი სიხარული, მიშა გახოკიძის და ნოე ადა-
მიას შემდეგ საქართველოდან რიგით მესამეს მიენიჭა
საბჭოთა კავშირის გმირის ნოდება... გაირბინა წლებმა,
ომი დამთავრდა. გამარჯვებული არკადი თბილისში
განაგრძობს მოღვაწეობას. მერე ჯანმრთელობა შე-
ლახული მშობლიურ მელაურში დასახლდა და როცა
მისი გზის გამკვალავის, 100 წელს მიღწეული დედა 1967
წელს გარდაიცვალა, გლოვის სუფრასთან, ორასამდე

სტუმრის წინაშე დიდებულად ამეტყველებული გმირი ტკბილად იგონებს 1931 წელს, 33 წლის ასაკში დაღუპულ ვალერიან გეგეშიძეს.

(2008 წელი, ივლისი)

ბიძინა გეგეშიძე — „ჩუბაღ წარსულს, ჩუბაღ“

ჭყვიშელი და მელაურელი ჭაბუკების — გალაკტიონისა და ვალერიანის სტუმარობა სურების ტყეში სახალხო შურისმაძიებელ სამსონ წითელიშვილთან.

გაზ. „ახალი თაობა“. 11 სექტემბერი, 1998წ.

ბიძინა გეგეშიძე — „ასე იწყებოდა პოეტი“

ვალერიან გეგეშიძის ჩანაწერის მიხედვით (დიდი ქართველი მწერალი, თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგი ვასილ ბარნოვი და თანაკურსელი გიორგი ლეონიძე)

გაზ. „ექო დაიჯესტი“. 30 მაისი, 2000 წელი.

სურათი: 1952 წელი, საპირველმაისო პარადზე: გალაკტიონი, გიორგი ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, სანდრო ეული, ანდრო თევზაძე, სანდრო შანშიაშვილი, იოსებ ნონეშვილი...

ალექსანდრე (საშა) პაპავა — „მეგობრის გახსენება“

სურათი: ვალერიან გეგეშიძე. 1981წ.

ნიგნიდან „დრო“

ბიძინა გეგეშიძე — „ტკბილად მოსაგონარი“

სურათი: ვალერიას გეგეშიძე, კატო ძიქაძე, სპირ-
დონ კიკაჩიშვილი
გაზ. „ნინსვლა“, 1981 წ. 7 ოქტომბერი.

საქართველოს რესპუბლიკა
173, ხუთშაბათი, 29 ივნისი, 2000 წელი

„შარს ნუ ვიტყვით ჩვენს წარსულზე“

პატივცემულო რედაქცია, 1998 წელს სამტრედიის ქალაქის გამგეობამ ცარიზმის წინააღმდეგ თავდადებული მეზრდოლის, ეროვნული მოძრაობის გამორჩეული მოღვაწის ვასილ ბარნოვის აღზრდილის, ილია ჭავჭავაძის მრწამსის ერთგული მიმდევრის, თბილისის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის 1931 წლის 33 წლის ასაკში დაღუპული ვალერიან გეგეშიძის სახელობის ქუჩას, ყოველვაგირ დასახუთების გარეშე სახელი შეუცვალა, არადა, რადიო, ტელევიზია, დოკუმენტური კინო, უამრავი ლიტერატურა. საბჭოური და დღევანდელი პრესა ფართოდ აშუქებდა და დღესაც აშუქებს სამშობლოს სიყვარულით გულანთებული კაცის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, ამასთანავე ვალერიან გეგეშიძის სახელის უკვდავსაყოფად მისი სახელობის ქუჩის დასაწყისში მდებარე სკვერის ტერიტორიაზე აღმართულია მემორიალი, ხოლო მშობლიურ სოფელ მელაურში დგას ბრინჯაოს ბიუსტი.

პატივცემულო რედაქცია, ჩვენ ამ განცხადებაზე ხელისმომწერნი დიდად კმაყოფილები ვიქნებით ზემოთ აღნიშნული სამი კილომეტრის სიგრძის, დღესაც ფირნიშებშეუცვლელი ქუჩის, ერთი მონაკვეთი დიდი მწერლის გრიგოლ რობაქიძის სახელს ატარებდეს. ხოლო

დანარჩენი მონაკვეთი სახელოვანი მამულიშვილის ვალერიან გეგეშიძის სახელს.

სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურის 75 ოჯახის სახელით: ნელი ხუჭუა, შორენა ჩამახიძე, გიზო ნიკურაძე, ნუგზარ თურმანიძე, ომარ კილაძე და სხვები.

33 წლის წინათ
33 წლის შემდეგ

**ელგუჯა ლეზანიძე — „გაზეთი და შრომითი პაე-
ქრობა“**

გაზეთი „თბილისი“, 1974 წელი 21 თებერვალი

**ბიძინა ბებეშიძე — „პატრიონის მონასტარი
გულგარეთში“**

გაზეთი „თბილისი“, 1974წ. 21 თებერვალი.

**ელგუჯა ლეზანიძე — „საკუთარ გულს მიენ-
დეთ...“**

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 27 თებერვა-
ლი, 2005 წელი.

**ბიძინა ბებეშიძე — „რაც კარგი ექნას რუსისა
შტიკსა, ღმერთმა იმ რუსსვე ასკაცათ მისცას“.**

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 30 ნოემბერი,
2006 წელი.

რა დამავიწყებს 2000 წლის 28 მარტის ნათელ დილას, როცა საპატრიარქოს დიდ დარბაზში მიმიღო სრულიად საქართველოს პატრიარქმა ილია მეორემ, თავისივე პირადი ინიციატივით. სწორედ ამ დღეს უწმინდესისა და უნეტარესის ლოცვა-კურთხევით, ერთი-ერთზე შემდგარი ეს შეხვედრა, ძირითადად ეხებოდა ორმოცი წლის წინ ჩემ მიერ შიომღვიმის მონასტრის ღვთისმშობლის ეკლესიიდან გატაცებული წმინდა ბარძიმის გადარჩენის ფაქტს. აგრეთვე საზღვარგარეთ საქართველოს საზოგადოებისათვის ნაკლებად ცნობილ საეკლესიო ხუროთმოძღვრულ ძეგლებს. მათ შორის, უპირველესად მოსკოვში, ვსესვიატსკოეს ტაძარში დასვენებულ ორ საუკუნოვან წმინდა ნინოს, მეფე თამარის და დარეჯან ბაგრატიონის ხატებს.

ბიძინა გეგეშიძე

ივუზუნაჲენ ქაშუეთის ზარაზი

რუსთაველის გამზირზე ბევრი გამვლელი მოუხიბლავს ქაშუეთის სილამაზეს და ვინ იფიქრებდა, მომაჯადოებელი ჩუქურთმებით, ლადო გუდიაშვილის ფრესკებით დამშვენებულს და საქართველოს ქებად ცამდის აზიდულ ტაძარს კიდევ თუ რამე აკლდა.

ჰკლებია კი: კერძოდ, ნიკორწმინდის, გუდარეხის, სვეტიცხოვლის, სიონის, გრემის, შუამთის, ალავერდის, შიომღვიმის, ხობის, საფარის და სხვა ხელთუქმნელი ძეგლების დარად არ გააჩნდა მართლმადიდებელ ეკლესიებში ლოცვისათვის მომნოდებელი სამრეკლო, საიდანაც ზარების ხმა ნუგეშის, სიფრთხილის და იმედის მომნიჭებელ ჰიმნივით ისმოდა. და არა მარტო წირვისათვის, სამრეკლო ომების დროსაც მხმობელის როლს ასრულებდა. ხალხს აფრთხილებდა, თავი მოეყარათ და

საერთო ძალით გაელაშქრათ შემოსეული მტრების წინააღმდეგ.

თამარ მეფე შამქორის ბრძოლის წინ ფეხშიშველი გამარჯვების ლოცვას აღავლენდა მეტეხის ტაძრის სამრეკლოში.

და აი, დადგა დრო შენების, — მუხიანის, საავიაციო წარმოების და გლდანის ტერიტორიებზე ეკლესიების ამგების, ქაშუეთის დეკანოზის ელიზბარ ოდიშვილის ძალისხმევით და ლოცვა-კურთხევით გასულ წელს, აპრილში, მის მიერ დანყებულ ქაშუეთის სამრეკლოს მშენებლობა დასასრულს უახლოვდება. მთავრდება აგრეთვე სამრეკლოს გარემოს კეთილმოწყობითი სამუშაოებიც. პირველ რიგში, აღიკვეთა მიწისქვეშა წყლების მოქმედება, რაც ტაძრის საძირკვლებს საშიშროებას უქმნიდა. ეზოს გაუკეთდა ლამაზი ღობე. უსახური, ერთსართულიანი დროებითი საცხოვრებელი სახლების, ფოტო-ატელიეს, სამკერვალო და საამკინძაო საამქროების ნაცვლად აიგო მღვდლების, საკვირაო საეკლესიო სკოლის და გაჭირვებულთა დასაპურებელი შენობები.

შეიცვალა 1991-92 წლებში რუსთაველის გამზირზე ქართველების მიერ ერთმანეთის ხოცვა-ჟლეტის დროს ტყვიით დაცხრილული ტაძრის სახურავი. რესტავრაცია გაუკეთდა დაზიანებული გუმბათიდან ჩამოშვალ წვიმის წყლებისაგან დაზიანებულ ფრესკებს და ნატყვიარ კედლებს, მის ორნამენტებს და ჩუქურთმებს.

რასაკვივრელია, მამა ელიზბარი ყველაფერ ამის გაკეთებას მარტო ვერ შეძლებდა. ამ ღვთიური საქმის კეთებაში მას გვერდში უდგა და დღესაც დიდ საქმეს აკეთებს პროექტის ავტორი, ცნობილი ხუროთმოძღვაირაკლი მოსულიშვილი. მამა ელიზბარს წამოეშველნენ აგრეთვე მორწმუნე ახალგაზრდები, რომლებიც ქალაქის სხვადასხვა უბნიდან სამშენებლო მასალებს ეზი-

დებოდხეხ, ენოდხეხ ფიზიკურ ძროძას, თავდადებულად იღვანეს ქვის მთლელებმა. მათ მიერ დმუშავებული ბოლნისის ტუფით შეიმოსა სამრეკლოს კოშკი, ხოლო ტრადიციული ქართული ორნამენტიტა და ჩუქურთმებით მიქარგ-მოქარგეს სამრეკლოს ოთხივე კედელი, სარკმელები და სამლოცველოს მთავარი კარი.

დეკანოზმა ელიზბარ ოდიშვილმა დასძინა: ღვთის მადლიტა და საქართველოს პატრიარქის, უნმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ისევ და ისევ ვუბრუნდებით იმ ძლიერ ფესვებს, ჩვენი წინაპრების იმ დიდ რწმენას, რომელმაც გადაარჩინა საქართველო, რომელმაც გადაგვარჩინა ჩვენ ყველანი.

ამდენად, დიდად სასიხარულოა, რომ რწმენის გადასარჩენად საეკლესიო ლოცვებს, დღესასწაულებს საქართველოში ქაშუეთის ზარების გუგუნიც შეუერთდება.

ბიძინა გეგეშიძე

„ახალი თაობა“, 31 იანვარი, 1999.

სპარტაკ ბალაშვილმა მაჩუძა ხევისბერ
გოჩას როლში გადაღებული თავისი პორტრე-
ტი წარწერით:

„სახსოვრად ბიძინა გეგეშიძეს, ნიჟნად
გაუ-ხუნარი მემოზრობისა.

სპარტაკისაგან
1967 წელი.

სილოვან ნარიმანიძის ნიგნი მისივე ავტობრა-
ფით:

„ბატონ ბიძინა გეგეშიძეს, ცნობილს თავისი კაი მა-
მულიშვილობით, ჟურნალისტური მოღვაწეობითა და
განსწავლელობით.

პატივისცემით სილოვან ნარიმანიძე.
22 ივნისი, 1999 წელი.

არმაზ სანებლიძე - „ნაყოფისაგან საცნაურ
არს სიკეთე ხისაი“.

„ბატონ ბიძინა გეგეშიძეს! შესანიშნავ ადამიანს, მშ-
ვენიერ ავტორს, რომლის ნაკალმარი ყოველთვის ალა-
მაზებდა „საქართველოს რესპუბლიკას“.

არმაზ სანებლიძე.
11 მარტი. 2006 წელი.

მიხეილ თუშანიშვილი - „რეჟისორი თეატრი-
დან წავიდა“.

ავტოგრაფი: „კეთილ და საყვარელ ბ-ნ ბიძინას!

მიხეილ თუმანიშვილი.

30 დეკემბერი, 1989 წელი.

ფარსადან თოფურიას - „ეს გზა „თბილისზე ბადის“. (ქართველი ჟურნალისტები). 14 გვერდზე ბიძინა გეგეშიძე სურათით.

თბილისი. გამომცემლობა „სამშობლო“.

ოთარ ხუციშვილი - „ეძვნება ფარსადან თოფურიას“.

„ცნობილმა ჟურნალისტმა ფარსადან თოფურიამ წიგნი კი გაამზადა გამოსაცემად, მაგრამ მის დაბადებას, არსთა გამრიგის უცაბედი სტუმრობის გამო, ველარ მოესწრო. მარადიულ სამყოფელში გამგზავრების წინ ფარსადანი **თავის განუყრელ მეგობარს ბიძინა გეგეშიძეს უხმო** და მისთვის ჩვეული მორიდებით სთხოვა — ვიცი, დიდად დალხინებული არცა შენ ხარ, მაგრამ იქნებ არ დაიზარო და ჩემი მოკრძალებული ნაღვანი შთამომავლობას შემოუნახოო.

ბატონ ბიძინა გეგეშიძეს, წიგნსა და მეგობრებზე შეყვარებულ პიროვნებას, დარწმუნებული ვარ, ფარსადანს რომც არ ეთხოვა, ამ საქმისათვის თავის მობმა ისედაც არ დაეზარებოდა. აკი არც დაიზარა...“ (ნაწყვეტი რეცენზიიდან).

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 5 ივლისი. 2007 წელი.

ელგუჯა ლეხანიძე - „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“...

ამონარიდი წერილიდან... „ამ ბოლო ხანს წერილები აღარ ჩანსო, — ტელეფონზე მოკრძალებით მისაყვედურა ჩვენი გაზეთის მუდმივმა მკითხველმა ბიძინა გეგეშიძემ. სხვათა შორის, კალმის ფასი იმანაც ჩინებულად იცის და დროდადრო მშვენიერ წერილებსაც აქვეყნებს“...

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“. 2007 წ. 12 მაისი.

ფარსადან თოფურიანი - „ქსპრომტი წიგნიდან „ფული არ მაქვს“. 2007 წ.

ბიძინა გეგეშიძეს
გარეთ გამო, ბიძინა,
მზემ შემოგრიჭვიტინა,
გაზაფხულმა იღვიძა
სასეირნოდ გვიბიძგა!

ფოტოსურათები რუბრიკით

„ყველას რაიმი აქვს სახსოვარი“

გალაკტიონი

„საქართველოს რესპუბლიკა“
სამშაბათი, 5 აპრილი. 2005 წელი.

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე ვალერიან (ვალიკო) გეგეშიძე მეუღლესთან, ოლია კიკაჩიშვილთან ერთად. 1925 წელი.

მოგვანოდა შვილმა ბიძინა გეგეშიძემ.

❖ ❖ ❖

„საქართველოს რესპუბლიკა“
პარასკევი, 25 მაისი. 2001 წელი.

სამახსოვრო ფოტო დიდ გალაკტიონთან: ბიძინა გეგეშიძე (მარცხნივ), მამია დარჩია.

თბილისი, 1952 წელი.

ფოტოს ავტორია კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი.

სურათი მოგვანოდა ბიძინა გეგეშიძემ.

მთავარი რედაქტორი არმაზ სანებლიძე.

სარედაქციო კოლეგია: ალექო ასლანიშვილი, როლანდბასილაშვილი, გურამ გოგიაშვილი, ბონდო გულიაშვილი, გიორგი ლალიაშვილი, ბონდო მძინარაშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, ბექა ქეცია, ოთარ ხუციშვილი.



„საქართველოს რესპუბლიკა“
ხუთშაბათი, 21 დეკემბერი. 2000 წელი.

„ყველას რაიმი აქვს სახსოვარი“

1947 წელი, 19 აგვისტო. იოსებ სტალინი კრეისერ
„მოლოტოვზე“. მარჯვნივ ალექსეი კოსიგინი.
ფოტო მოგვანოდა ბიძინა გეგეშიძემ.



ბაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“.
19 აპრილი. 2005 წელი. სურათი რუბრიკით —
„ყველას რაიმი აქვს სახსოვარი“.

1923 წელს რეჟისორ ვლადიმერ ბარსკის მიერ გადაღებულ მხატვრულ ფილმში — „არსენა მარაბდელი“ სახალხო გმირის როლის ბრწყინვალედ შემსრულებელი, გარეგნობითა და ხასიათით მომხიბვლელი ვაჟკაცი გრიგოლ ჩეჩელაშვილი და მისი ერთადერთი ვაჟი, მეორე მსოფლიო ომის გამორჩენილი მოიერიშე მფრინავი, საბჭოთა კავშირის გმირი ოთარ ჩეჩელაშვილი.

მოგვანოდა ბიძინა გეგეშიძემ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

მთავარი რედაქტორი
რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი.

✘ ✘ ✘

სურათი რუბრიკით: „ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“.

„დიდ გალაკტიონთან ბიძინა გეგეშიძე.

კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის ფოტო. 1950 წ.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2003 წელი.
30 სექტემბერი.

✘ ✘ ✘

სურათი: (ბიძინა გეგეშიძე, სიღნაღის ცენტრში აღმართულ, უკვდავი სიმღერების შემქმნელი სანდრო მირიანაშვილის ბრინჯაოს ბიუსტთან...

სურათი გადაღებულია 2008 წლის 16 მაისს თამარ მხეიძესა და რუსუდან გეგეშიძესთან ერთად ბოდბის ტაძარში წმინდა ნინოს საფლავზე სანთლების ანთებისა და ლოცვის აღვლენის შემდეგ). ბიძინა გეგეშიძე.

✘ ✘ ✘

„ყველას რაიმე აქვს სახსოვარი“

იმერეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ მელაურში, ვალერიან გეგეშიძის კარმიდამოში 1903 წლის მაისში გაიმართა არალეგალური კონფერენცია, რომლის დელეგატთა სახეები შემოგვინახა წინამდებარე ფოტოსურათმა. მათ შორის არის ჭაბუკი კობა — იოსებ სტალინი (დგას ზემოდან პირველ რიგში, მარცხნიდან მეოთხე, ხელი აქვს დადებული მასპინძლის, ვალერიან გეგეშიძის მხარზე).

ფოტო მოგვანოდა ბიძინა გეგეშიძემ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

კვირა, 5 ნოემბერი. 2000 წელი.

**ბიძინა გეგეუძის
ერთი და იგივე
წერილები
სხვადასხვა გაზეთებში
(მოკლე ამონაწერები)**

✘ ✘ ✘

ბიძინა გეგეშიძე - „ვახტანგური კრემლის დიდ დარბაზში“

სახელგანთქმული მხედართმთავრების წინაშე გენერალსიმუსმა იოსებ სტალინმა და გენერალ პორფირე ჩანჩიბაძემ გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების სადღეგრძელო „ვახტანგურად“ დალიეს.

— „წინსვლა“, 1970 9 მაისი, რედაქტორი ვაჟა ნიკოლაიშვილი

— „კომუნისტი“, 1973, 1 დეკემბერი, რედაქტორი გურამ გოგიაშვილი

— „ლენინის დროშით“, 1971, 1 დეკემბერი, რედაქტორი ავთონ გურგენიძე.

— „თბილისი“. 1998. 9 მაისი, რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე.

✘ ✘ ✘

ბიძინა გეგეშიძე — „რას ვერჩიოთ ჯორჯიაშვილს“

(თბილისში ერთ-ერთი ცენტრალური ქუჩისთვის დიდი მამულიშვილის სახელის უსამართლოდ გადარქმევის შესახებ).

დაიბეჭდა სხვადასხვა გაზეთებში:

— „იბერია-სპექტრი“. 1977, 10 მაისი, რედაქტორი ირაკლი გოცირიძე.

— „ხმა ერისა“. 1998. 5 ოქტომბერი. რედაქტორი სტეფანე მხარგრძელი.

— „ქალთა გაზეთი“ 1999. 10 ოქტომბერი.

— „საქართველოს რესპუბლიკა“. 2006. 7 სექტემბერი. რედაქტორი რუსლან რუსია.



ბიძინა გეგეშიძე - „ნაპოლეონის მეგობარი ქართველი მამულში“

(ბონაპარტეს მიერ „რუსტამად“ მონათლული როსტომ რაზმაძე)

„თორემ მტრებს ისიც კი შვაშინებს ერთხელ ხმა-მალღა რომ ვითვბათ მარაგდა“. ლაღო ასათიანი

სურათი: მხატვარი დებრე, სურათზე ასახულია 1803 წლის 14 ივლისი. პარიზის ინვალიდთა სასახლეში ნაპოლეონის ხელით ლეგიონერის ორდენით მკერდდამშვენებული რუსტამი გასცქერის ორდენის მისაღებად რიგში მდგომ მარშლებს: ნეის, მიურატს, დაუს, მაკდონალდს და ოჟეროს.

სურათი პირველად გამოქვეყნდა გაზეთ „ალიაში“

— „ალია“. 1998. 24-25 ნოემბერი.

— „სამხედრო გაზეთი“. 1996. 22 ნოემბერი. რედაქტორი რაფიელ მამულაიშვილი

— „ახალი თაობა“. 1998. 6 თებერვალი. რედაქტორი ლალი ასლანიშვილი.

— „თბილისი“. 1998. 13 ოქტომბერი. რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე.

— „სამყარო“. 1999. 25 სექტემბერი. რედაქტორი გელა ზაუტაშვილი.



ბიძინა გეგეშიძე - „შენღება ქაშუეთის სამრეკლო“

— „ლიტერატურული საქართველო“. 1998. 16 აპრილი. რედაქტორი თამაზ ნივნივაძე

- „თბილისი“. 1998. 19 მარტი. რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე
- „ქართული კულტურა“. 1991. 17 აპრილი. რედაქტორი თემურ მეტრეველი
- „ახალი თაობა“. 1991. 20 აპრილი. რედაქტორი ლალი ასლანიშვილი.
- „კავკასიონი“ 1991. 25 მარტი. რედაქტორი

❖ ❖ ❖

ბიძინა გეგეშიძე - „კიდევე ერთი სირცხვილი“

(ლადო კეცხოველი მისმა შთამომავლებმა მეორედ მოკლეს)

ალექსანდრეს ბაღში ვანდალების მიერ მისი ძეგლის გაცამტვერება და იქვე მდებარე ქუჩისთვის მისი სახელის გადარქმევა.

- „ახალი თაობა“. 1998 4 ოქტომბერი. რედაქტორი ლალი ასლანიშვილი
- „ქალთა გაზეთი“. 1999. 18 მაისი.
- „კავკასიონი“. 1998. 17 მაისი. რედაქტორი სოზარ სუბარი.
- „საქართველოს რესპუბლიკა“, 2000. 12 სექტემბერი. რედაქტორი არმაზ სანებლიძე.

❖ ❖ ❖

ბიძინა გეგეშიძე - „ღორაბის ტრიუმფი“

სპექტაკლი დიდი ქართველი მწერლის დავით კლდიაშვილის მოთხრობის მიხედვით კინომსახიობთა თეატრში. დამდგმელი რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი

- „იბერია-სპექტრი“. 1998. 14 მაისი, რედაქტორი ირაკლი გოცირიძე.

- „ახალი თაობა“. 2000, 26 თებერვალი, რედაქტორი ლალი ასლანიშვილი.

- „სამყარო“. 2000, 4-17 აპრილი, რედაქტორი გელა ზაუტაშვილი.

- „ასავალ-დასავალი“, 2001 -- ოქტომბერი, რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი.

ბიძინა გეგეშიძე — „მივდივარ მივყვები და ასე მგონია“

დიდი ქართველი კომპოზიტორი სანდრო მირიანაშვილი (სურათით).

- „ახალი თაობა“. 1999, 18 აპრილი. რედაქტორი ლალი ასლანიშვილი.

- „თბილისი“ 1998, 28 ივლისი, რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე.

სანდროობის მოლოდინში

- „ჯორჯიან თაიმსი“, 1998, 9 მაისი.



ბიძინა გეგეშიძე - აქაც კანი კაცნი იყო, იმ ნათელი დაადგესა.

(ლეგენდარულ სპარტაკ ბალაშვილამდე, 1923 წელს, კინოფილმ „არსენა მარაბდელში“ სახალხო გმირის ბრწყინვალედ შემსრულებლის, ქართული ეკრანის რაინდის გრიგოლ ჩეჩელაშვილისა და მისი ერთადერთი ვაჟის საბჭოთა კავშირის გმირის, მამასავით მოხდენი-

ლი და მეტად პოპულარული ვაჟკაცის ოთარ ჩეჩელაშვილის შესახებ)

- „ექო დაიჯესტი“. 2000 წ. 20 იანვარი.
- „ახალი თაობა“. 1999 4 იანვარი, რედაქტორი ლალი ასლანიშვილი.
- „საქართველოს რესპუბლიკა“. 19 აპრილი, 2005 წელი. რედაქტორი რუსლან რუსია.
- „სამყარო“, 2003 წ. 15 მაისი. რედაქტორი გია ზაუტაშვილი.
- „ალია“, 2004 წ. 1 სექტემბერი.
- „თბილისი“, 2005 წ. 20 ოქტომბერი, რედაქტორი იოსებ ჭუმბურიძე.



ბიძინა გვგუშიძე - „ჩუმაღ, წარსულს, ჩუმაღ.“

სიყმანვილეში გალაკტიონ ტაბიძის და ვალერიან გეგეშიძის ურთიერთობის შესახებ

- „ახალი თაობა“, 1998 წ. 13 სექტ. რედაქტორი ლალი ასლანიშვილი.
- „ახალი ქართული გაზეთი“, 1998 წ. 17 ნოემბერი, რედაქტორი პაატა ნაცვლიშვილი
- „სოფლის ცხოვრება“, 1993 წ. 24 ივლისი, რედაქტორი ოთარ იოსელიანი
- „ექო და დაიჯესტი“ 2000 წ. 18 აპრილი.
- „ქუთაისი“, 1999 წ. 18 აპრილი, რედაქტორი ალექსანდრე შენგელია.

2000-2008 წლები წერილები, წიგნები.

ელგუჯა ლუბანიძე - „დავინახოთ და დავაფასოთ
სასწაული“

სურათი: ვალერიან გეგეშიძე.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2000 წელი.
20 დეკემბერი.

ბიძინა გეგეშიძე - „ჩუმად წარსულო, ჩუმად“.

(გალაკტიონის და ვალერიანის შესახებ)

სურათი: დიდ გალაკტიონთან ბიძინა გეგეშიძე.

გაზეთი „ახალი თაობა“. 2001 წელი. 13 სექტემბერი.

ბიძინა გეგეშიძე — „უკვდავება“.

(მეორე მსოფლიო ომის გმირები კოტე ხოდაშნელი
(კონსტანდინიდი) და არკადი გეგეშიძე). მიეძღვნა გამარ-
ჯვების დღეს — 9 მაისს).

გაზეთი — „საქართველოს რესპუბლიკა“. 2001 წელი
9 მაისი.

ელგუჯა ლუბანიძე - „ჰოი, დედანო მარად ნე-
ტარნო“

(წერილი იწყება ბიძინა გეგეშიძით).

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2003 წელი. 12
სექტემბერი.

ბიძინა გეგეშიძე - „სანდროშის მოლოდინში“.
კვალი ნათელი

სურათი: დიდი გალაკტიონი „მერი“-ზე გენიალური მუსიკის შემქმნელი სანდრო მირიანაშვილი“.

გაზეთი „თბილისი“. 2003 წელი. 15 აპრილი.

❖ ❖ ❖

ბიძინა გვგუშიძე — „ბარდასულ დღეთა ათინათი“.

(დიანა პაჭკორია-თოფურია სურათის თანხლებით)

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2005 წელი. 25 ნოემბერი.

❖ ❖ ❖

ელგუჯა ლეხანიძე — „საკუთარ გულს მიენდეთ“.

ექლვნება ეთერ რუხაძეს.

სურათი: ეთერ რუხაძე შვილებთან და შვილიშვილებთან.

(მისი ავადმყოფობის პერიოდი)

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2005 წელი. 21 დეკემბერი.

❖ ❖ ❖

ბიძინა გვგუშიძე — „მივაგოთ კეისარს კეისრისა“.

(საქართველოს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ჭიდაობაში მირიან ცალქალამანიძე.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2006 წელი. 3 ნოემბერი.

❖ ❖ ❖

ბიძინა გვგუშიძე — „რაც კარგი ეძნას რუსისა შტიჰსა, ღმერთმა იმ რუსსვე ასაეცად მისცას“.

სურათი: წმინდა მარიამი ყრმით

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2006 წელი. 1 დეკემბერი.

ვლადიმერ ტაბიძე - „ეთერ რუხაძის ხსოვნას“

სურათი. გაზეთი „ახალი თაობა“ ვლადიმერ ტაბიძე. 2006 წე-ლი. 2 დეკემბერი.

„დიდი მოჭირნახული, დიდი მოამაგა“ მეგობრები, კოლეგები. (ეთერ რუხაძის ხსოვნას)

გაზეთი „ახალი თაობა“. 2006 წელი. 4 დეკემბერი.

ეთერ რუხაძე-გაბეშიძე

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 23 დეკემბერი.

გიძინა გაბეშიძე - „უსაზღვრო სევდა“.

ეთერ რუხაძე-გეგეშიძის ხსოვნას. სურათით.

გაზეთი „ახალი თაობა“. 2007 წელი. 7-13 იანვარი.

გიძინა გაბეშიძე - „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს, განა?“

ეთერ რუხაძე

„სასიქადულო მამულიშვილი, ახალი თაობის კეთილგონიერი აღმზრდელი, საქართველოს დამსახურებული ექიმი-სტომატოლოგი“.

ნიგნიდან — „უსაზღვრო სევდა“. 2007 წ.

გაზეთი „ახალი თაობა“. 2007 წელი. 30 ნოემბერი.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვინმეს განა?“

(ეთერ რუხაძე ამ სამზეოს 2006 წლის 30 ნოემბერ
განერიდა)

წიგნიდან: „რაილა დარჩა წარსულის, დედის?“
გამომცემლობა „უნივერსალი“. 2007 წ.

❖ ❖ ❖

„ეთერ რუხაძე-გავაშვიძე“

მოსაგონარი. სურათით.

გაზ. „ახალი თაობა“ 2006 წ. 2 დეკემბერი

❖ ❖ ❖

ბიძინა გეგეშიძე — „სიყვარულიდან უკვდავებამდე“
ეთერ რუხაძის ხსოვნას
გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ 23 დეკემბერი,
2006 წ.

❖ ❖ ❖

„ეთერ რუხაძე ყველა ჩვენთაგანის გულში“

სურათით.

ახლობლები

წიგნიდან: „უსაზღვრო სევდა“.

გამომცემლობა „უნიტა“. 2007 წ.

❖ ❖ ❖

„მეგობრის ხსოვნას“ სურათით.

კოლეგები

წიგნიდან: გამომცემლობა „უნივერსალი“. 2007 წ.

ბიძინა გავაშვიძე, ოთარ ხუციშვილი

❖ ❖ ❖

„უსაზღვრო სევდა“ სურათით.

ეთერ რუხაძე-გეგეშიძე

გაზ. „ახალი თაობა“ 2007. 30 ნოემბერი ბიძინა გეგე-
შიძე

❖ ❖ ❖

„არ დაგივიწყებთ, ეთერ“
ნიგნიდან „რაილა დარჩა წარსულის, დიდის?“
„საქართველოს რესპუბლიკა“
ხუთშაბათი. 20 ივნისი. 2002 წელი.

❖ ❖ ❖

„სსოვნა დარჩენილი ბანძად - ეთერ რუხაძე“. ახ-
ლობლები. გფარავდეს ღმერთი!
ნიგნიდან: „რაილა დარჩა წარსულის დიდის?“

❖ ❖ ❖

ბიძინა გეგეშიძე — „რას ვერჩით ჯორჯიაშივლს?
სასტუმრო „თბილისის“ გვერდით მდებარე ქუჩის-
თვის ეროვნული გმირის სახელის უსამართლოდ გადარ-
ქმევის შესახებ.
გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. 2006 წელი. 7
სექტემბერი.

❖ ❖ ❖

ოთარ ხუციშვილი:

„ბატონ ბიძინა გეგეშიძეს, ნიჭიერ კალმოსანს, ნიგ-
ნსა და მეგობრობაზე შეყვარებულ პიროვნებას, დარწ-
მუნებული ვარ, ფარსადანს რომც არ ეთხოვა, ამ საქმი-
სათვის თავის მობმა ისედაც არ დაეზარებოდა. აკი არც
დაიზარა, მეგობრის დანატოვარი წიგნი გამოსცა და მის-
ივე ხსოვნას უძღვნა.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.
2007 წელი. 5 ივლისი.

❖ ❖ ❖

ნიგნები:

ბიძინა გავეშიძე - „დედა“.

გამომცემლობა „უნიტა“, 2008 წელი. თბილისი.

❖ ❖ ❖

„დრო“

(ნაწილი პირველი)

ფოტოსურათებით

გამომცემლობა „ქონოგრაფი“ 2001 წელი, თბილისი.

გვერდი: 272.

❖ ❖ ❖

„უსაზღვრო სევდა“

„ეთერ რუხაძის ხსოვნა — დარჩენილი განძად“.

წერილებისა და ფოტოსურათების კრებული.

გვერდი: 108.

გამომცემლობა „უნიტა“, თბილისი. 2007 წელი.

❖ ❖ ❖

„რაილა დარჩა წარსულის დიდის“

(ეთერ რუხაძე, ბიძინა გეგეშიძე)

წერილებისა და ფოტოსურათების კრებული.

გვერდი: 84.

გამომცემლობა — „უნივერსალი“

თბილისი. 2007 წელი



ბიძინა გეგეშიძე — „ბიზლიობრაზია“.
გამომცემლობა „უნივერსალი“. 2008 წელი, თბილისი.



გაზეთები:

„თბილისი“, „კომუნისტი“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „კავკასიონი“, „ახალგაზრდა კომუნისტი“, „სტალინელი“, „გამარჯვება“, „სამყარო“, „ლიტერატურული საქართველო“, „სახალხო განათლება“, „ახალი თაობა“, „ალია“, „იბერია სპექტრი“, „მალადიოჟ გრუზი“, „ასავალ დასავალი“, და სხვა გაზეთები თავიანთ ფურცლებზე სხვადასხვა თემებზე გამოქვეყნებულ ზღვა მასალას, ერთად თავმოყრილს — 19 წიგნად ჰკინძავს გამომცემლობა „უნიტა“ (თითოეული 150-150 გვერდია — ფოტოსურათებით).

ერთ-ერთ წიგნზე გაზეთ — „საქართველოს რესპუბლიკის 2005 წლის, 15 მაისის ნომერში მწერალი და ცნობილი ჟურნალისტი, ბატონი ელგუჯა ლებანიძე თავის ვრცელ ნარკვევში: „მართლაც უჩვეულო წიგნი“ — აღნიშნავს: „ეს წიგნი გეგეშიძეების ოჯახის ჩარჩოებში ვერ ეტევა. ის მთელი ქვეყნის ისტორიაა თავისი წარმატებით და წარუმატებლობით, სიხარულითა და ტკივილით. გაივლის დრო და მას უსაზღვრო ფასი დაედება...“



გაზეთ „ასავალ დასავალი“-ის რედაქტორს, ბატონ ლაშა ნადარეიშვილს.

„მატყუარა და სტალინი?“

თქვენი გაზეთის 2-8 ივნისის ნომერში ქალბატონ ნათია ლებანიძესთან საუბარში ისტორიკოსი სვიმონ

მასხარაშვილი დასძენს: „სააკაშვილმა 7 ნოემბერს ქვეყანა სახელმწიფოებრივი ნგრევისგან იხსნა“. არადა, პარლამენტის ტერიტორიაზე ათასობით შეკრებილ მოქალაქეების ოთხი მოთხოვნიდან თუნდაც ორი ყოფილიყო დაკმაყოფილებული. ნამდვილად არ შედგებოდა 7 ნოემბერი, არც ქაშვეთის ტაძარში სისხლის ღვრა, საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ქიმიური და სხვა სახის სანამლავისა და იარაღის გამოყენება, არც რუსთაველზე, რიყესა და მეტეხთან ახალი ბაზალეთიც გაიმართებოდა... და კიდევ: ბატონი სვიმონი ბრძანებს: „ოპოზიციამ არაერთხელ გამოიყვანა 150-200 ათასი კაცი, ამას არავინ უარყოფს, თუმცა, მაგ ციფრებს მე სკეპტიკურად ვუყურებ. ხალხის მოტყუება კი სულაც არ არის ძნელი! განა იოსებ სტალინი 200 მილიონ კაცს 30 წელი არ ატყუებდა?

არა, ბატონო სვიმონ, მატყუარა ქართველი გიგანტი სახელმწიფოს სათავეში 30 წელს ვერ გაძლებდა.

ერთადერთი „ტყუილი“ გენერალსიმუსს 1941 წლის 7 ნოემბრის პარადზე წამოსცდა: „ჩვენი საქმე სამართლიანია! გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!“

ბატონი სვიმონის მასხარაობა იქით იყოს...

ამ „ტყუილს“ 1945 წლის 9 მაისს, რუსი ეგოროვისა და ქართველი ქანთარიას ხელით ბერლინში. რაიხსტაგის გუმბათზე, სტალინის გამოსახულებით გამარჯვების დროშის აღმართვა მოჰყვა.

ბიძინა გეგეშიძე



პროფესორი ოთარი იუზას ძე ზარდალაშვილი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორა-

ციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ოთარ იუზას ძე ზარდალაშვილმა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე დაიცვა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი თემაზე — „გამოკვლევები აზოტის ბალანსის დასადგენად საქართველოს მიწათმოქმედებაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა ო. ი. ზარდალაშვილის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

გაზ. „სოფლის ცხოვრება“. 1973 წ. 5 ივნისი



ღირსეული მშობლების — საქართველოს სახალხო არტისტების იუზა ზარდალაშვილისა და ნადია სირბილაძის ღირსეულ შვილთან, აკადემიკოს ოთარ ზარდალაშვილთან 1948 წელს დაწყებული მეგობრობა, მჯერა, უფლის ნებით მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

ბიძინა გეგეშიძე,
2008 წელი, 20 ივლისი

**მიზანი, რომელიც
ერევნა სიკვდილს**

1931 წლის 14 იანვარს ვალერიან (ვალეკო) გეგეშიძის გარდაცვალების გამო — „კომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „პრავდა“, „მუშა“ და სხვა გაზეთები აქვეყნებს ოჯახის, მეგობრების, ნათესავების, თანამებრძოლების, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და მისი ყველა ფაკულტეტის სამგლოვიარო განცხადებებს, ნეკროლოგებსა და გამოსათხოვარ წერილებს.

რა თქმა უნდა, ამ წუთისოფლიდან ადრე წასულ კაცს ხსენება და პატივი არც შემდეგ მოკლებია. მისი სახელი სამტრედიის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას მიეკუთვნა, ხოლო სახლი სადაც დაიბადა და აღიზარდა დაიდგა მოქანდაკე შლვა ზაუტაშვილის მიერ ბრინჯაოში ჩაომსხული ქანდაკება, სამტრედიის ქალაქის ცენტრში კი აღიმართა — ბაბუის მოსახელის, სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის, ვალერიან (მამუკა) გეგეშიძის ხელით შექმნილი მხატვრული მემორიალი.

ამასთან, მთელი შვიდი ათეული წლების მანძილზე ჟურნალ გაზეთები, მათ შორის კალენდრები სისტემატურად აღნიშნავენ მისი გარდაცვალებისა და დაბადების თარიღებს, მოეწყო ტელე და რიდოგადაცემები, შეიქმნა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფირი; სხვადასხვა დასახელების წიგნებში, ჟურნალებში, კრებულებსა და ენციკლოპედიაში ქვეყნდება ნარკვევები, სტატიები და მემორიალური ხასიათის ნაწარმოებები, არც ქართული მასმედიის მედროშე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 80 წელია არ ივინყებს თავისი მესაძირკვლის სახელს.

მასზე წერდნენ თანამებრძოლები:

ლექსანდრე (საშა) პაპავა, ვალერიან ვაშაკიძე,
შალვა ოდილავეაძე, მინა ხუჭუა, ანეტა კალაძე,
ნიკოლოზ კოპალეიშვილი, იასონ ხუჭუა,
ბარონ ბიბინეიშვილი, პორფილე შენგელია,
სპირდონ კიკაჩეიშვილი, ფატულია ხარებავა,
მალაქია ტოროშელიძე, ნესტორ გეგეია.

მეცნიერები:

ვარლამ ესაიაშვილი, ვარხატნ ქარუმიძე,
სოფიო ბერიძე, დავით ჯიქია,
ნინო სტეფანიშვილი, გიორგი მერკვილაძე,
ტრიფონ რუხაძე, დევი სტურუა,
ზინაიდა გეგეშიძე, როინ მეტრეველი,
ზაქრო შველიძე, ვახტანგ ჯანჯღავა.

✘ ✘ ✘

ჟურნალისტები:

ელგუჯა ლებანიძე, ოთარ ხუციშვილი
ფარსადან თოფურია, რუსუდან ნიკურაძე
გიორგი კაჭკაჭიშვილი, ავთონ გურგენიძე
ბორის ლომაია, ვახტანგ ნიკოლეიშვილი
ივერი ტაბიძე, გიორგი ხაბეიშვილი
შალვა გულუა, ბიძინა გეგეშიძე

✘ ✘ ✘

მერე: საქართველოს თავისუფლების დადგომის
